

საინფორმაციო!
 ი. კობახიძე
 11
 კოპიის
 მომზადება

ფასი 30 კპ.



№ 4

წელიწადი მესამე.

სსოპრემა

ორკვირული სამეცნიერო, სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი.

ზ ი ნ ა ა რ ს ი.

† ალექსი ბესარიონის ძე ჭიჭინაძე. 2. ოკტავ შირბო. 3. სატრფოს, ლექსი ხ. ვარდოშვილისა. 4. სიკვდილის ქანდაკება, დია ჩიანელისა. 5. სატრფოს, ლექსი, ობოლი მუშისა. 6. **, დ. თურდოსპირელისა. 7. სვედიანი სტრიქონები, ნ. ზენობნიელისა. 8. ძველი ამბავი, რ. საჯავახოელისა. 9. ქვრივის სევდა, ვასო ჭითავასი. 10. მაგიდასთან ნაფიქრალი, ს. ნინაშვილისა. 11. ბიბლიოგრაფია, ვ. კ—ასი. 12. აკად. ნ. მარი და შოთა რუსთველი, გიორგი გვაზავასი. 13. ნიკო გოსპირიძე. 14. ღია წერილი ჩვენს ერთმორწმუნე კავკასიელ თურქებს, ჰაიდარ-ბეგ აბაშიძისა. 15. წერილი რედაქტორთან.

15 თებერვალი 1917 წ.

მ შ თ ა ი ს ი

სტამბა „მობა“, პუშკინის ქ., სახლი იაკობ გოკიელოვისა.

ორკვირული საბოლოო, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი.

† ალექსი ბენსარიონის ძე ჭიჭინაძე

27 იანვარს, საღამოს 6 საათზე, თავის ბინაზე უეცრათ გარდაიცვალა თფილისის ქართულ გიმნაზიის დირექტორი, ალექსი ბენსარიონის ძე ჭიჭინაძე.

განსვენებულს, როგორც პედაგოგს, თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის ჩვენი ახალთაობის ალბანიაში. ალ. ჭიჭინაძის ნაშეგირდალთაგანბევრია რომელნიც საზოგადო ასპარეზზე მუშაობენ.

ალექსი ჭიჭინაძე ეკუთვნის სამოცდაათიან სწლების თაობას, რომელიც ალბანიაში იყო სამოციან წლების მოღვაწეთა იდეალებზე. ალექსი, ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, შევიდა ადვისის უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე. კურსის დასრულების შემდეგ, მან საპედაგოგო ასპარეზი აირჩია თავის, სამოღვაწეოთ. საქართველოში დაბრუნებისას, იგი მიწვეულ იქნა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, ლათინურ ენის მასწავლებლათ. იმ დროს, ქუთაისში დაარსდა თავდაზნაურთა სკოლა და ალექსი ამ სკოლის ინსპექტორათ მიიწვიეს. დიდი ნიჭი და უნარი გამოიჩინა განსვენებულმა სწავლა-აღზღის საქმეში და რამდენიმე წლის შემდეგ, თფილისის თავდაზნაურთა სკოლის უფროსათ იქნა მიწვეული. ამ სკოლის გიმნაზიათ გადაკეთებაში განსვენებულს დიდი წილი უდევს. სხვა სხვა გარემოებათა გამო, ნიჭიერი პედაგოგი იძულებული გახდა ქართული გიმნაზია დაეტოვებია და სახელმწიფო სამსახურში გადასულიყო. პირველათ ის დანიშნეს სახალხო სკოლების ინსპექტორათ და ჩქარა სახალხო სკოლების დირექტორობა მიცეს. შემდეგ, დაინიშნა ხონის საოსტატო სემინარიის დირექტორათ და იმავე დროს განაგებდა ხონში დაარსებულ სავაჟო პროგიმნაზიას. 5 წლის წინათ, თფილისის ქართულ გიმნაზიაში საქმეთა მსვლელობამ არასასურველი ხასიათი მიიღო და საქმის, გამოსაკეთებლათ და მკვიდრ ნიადაგზე დასაყენებლათ გიმნაზიის დირექტორათ მოწვეულ იქნა ისევ ალექსი ჭი-

ჭინაძე. დღემდე ამ გიმნაზიას ხელმძღვანელობდა და ჯერ კიდევ დიდხანს შეეძლო მუშაობა, უეცარ სიკვდილს რომ არ მოესპო მისთვის სიცოცხლე.

განსვენებული თვალსაჩინო მონაწილეობას იღებდა მწერლობაში, გასაკუთრებით, საპედაგოგოში. თანამშრომლობდა „დროებაში“ „შრომაში“ (ქუთათურ), „კვალში“, „ჯეჯილში“ „განათლებაში“ და, სხვა.

ცალკე გამოცემულია განსვენებულის მიერ: „თვალსაჩინო სწავლა“, „პირველდაწყებითი ცოდნა გეოგრაფიისა“, „მოკლე საუბარი, თუ როგორ უნდა ისწავლებოდეს პირველდაწყებითი კურსი სამშობლოს აღწერისა სამინუსო პროგრამით“, „მცენარეები და ცხოველები ცხელ იკვეყნებისა“, „რიჟრაჟზე სათქმელი“ და სხ.

29 იანვარს გაასვენეს ალ. ჭიჭინაძის ცხედარი გიმნაზიის კარის ეკლესიაში. წირვა დაიწყო 10 საათზე. მწირველი ბძანდებოდენ დეკ. კალ. ცინცაძე და კარის ეკლესიის ღვდელი, მამა ფხალაძე. გიმნაზიაში დიდმა საზოგადოებამ მოიყარა თავი. სხვათა შორის, ბძანდებოდენ: კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის მოადგილე, ბ-ნი სლავინსკი, ქართველ თავ. აზნ. მარშლები თავ. კ. ნ. აფხაზი და თავ. დ. ო. ნიჯარაძე, ქართულ დაწესებულებათა წარმომადგენლნი, სხვა და სხვა სასწავლებელთა წარმომადგენლნი და სხვ. წირვაზე სიტყვა წარმოთქვა გიმნაზიის კარის ეკლესიის ღვდელმა, მამა ფხალაძემ. ცხედარი გამოასვენეს ეკლესიის გარეთ. სიტყვები წარმოთქვეს ბ-ნმა ალ. მიქაბერიძემ, ბ-ნმა ივ. რატიშვილმა და მერვე კლასის მოწაფემ. პირველ საათზე, სამგლოვიარო პროცესია დაიძრა წყნეთის ქუჩით, ვერის ხიდით და მიხეილის პროსპექტით კირკის ქუჩაზე, სახალხო სახლოან, გარდახთილ იქნა მკირე პანაშვიდი. ნაშვადღვეის 2 საათზე, ცხედარი მიასვენეს რკინის გზის სადგურზე, საცა გადახდილ იქნა მკირე პანაშვიდი. ცხე-

დარი წასვენებულ იქნა გელათის სადგურში, რომლის მახლობლათ მდებარეობს სამშობლო სოფელი განსვენებულისა-ჭოლევი. ჭოლევაში ცხედარს გაყვენ და დაკრძალვას დაესწრენ ქართულ გიმნაზიის მასწავლებელნი: დეკ. კალ. ცინცაძე, დ. კასრაძე და ბ-ნი პარკაძე. განსვენებულის მეუღლე ქ-ნი ფეროსინე, ისე მძიმეთ ავით იყო, რომ ეკლესიაში ძლივს მი-იყვანეს, ხოლო ცხედრის გაცილება ჭოლევი ვერ შეძლო.

30 იანვარს თფილისიდან ჩამოასვენეს ქუთაისში ძვირფასი ალექსის ცხედარი. ცხედარს მზურვალე გძნობით შეეგება ქუთაისის საზოგადოება, გასაკუთრებით, ადგილობრივი მასწავლებლები, ზოგიერთების გამონაკლისით; ისინი თელი დღე დათხოვნილი იყვენ. ქუთაისის ქართულმა გიმნაზიამ ნამდვილი ჭირისუფლობა გასწია; მასწავლებელთა თელი კორპორაცია და მოწაფეები მუსიკით და მგალობელთა გუნდით დილის რვა საათზე გაემართა რკ. გზის სადგარისკენ, სადაც ცხედარი ესვენა. ამავე გიმნაზიამ მოუწოდა ზოგიერთ მასწავლებლებს, პატივი ეცათ საყვარელ ადამიანის ხსოვნისთვის.

სასულიერო სემინარიაში, „სინათლის“ და კაუხჩაშვილის საქალებო მასწავლებელში მეცადინეობა არ იყო. დანიშნულ დროს (ე. ი., დილ. 8 სათ.), თითქმის ყველა თვალსაჩინო პროფესიის წარმომადგენლებმა თავი მოიყარეს სადგურთან. მოწაფეები რიგ-რიგათ ჩამწკრივდნ „სობოროსკენ“ მიმავალ ქუჩაზე. მატარებელიდან ნაშთი გადმოასვენეს ქართული გიმნაზიის მასწავლებლებმა. სამგლოვიარო ჰიმნს უკრავდა ამავე გიმნაზიის მოწაფეები. როგორც თფილისის გაზეთებში იყო ანიშნული, გვირგვინის ნაცვლათ, ფული უნდა შეეწირათ. მარა რამდენიმე გვირგვინი მაინც იყო, მათ შორის, „სინათლისა“ და „საბჭოს“.

პანაშვილის შემდეგ, გძნობიერი სიტყვათქვა ქართული გიმნაზიის გამგემ, ბ-ნმა იოსებ ოცხელმა, რომელიც ვრცლათ შეეხზა განსვენებულის საზოგადობრივ ღვაწლს ქართული პედაგოგიკის სფეროში. გძნობიერი სიტყვათქვა აგრეთვე ბ. გიორგი ბადრიძემ. შემდეგ, პროცესია დაიძრა საკათედრო ეკლესიისკენ.

კუბოს მოწაფეები მოასვენებდნ. „სინათლის“ მასწავლებლის წინ შეჩერდა პროცია. აქ ბ-ნმა დიტო უზნაძემ წარმოთქვა სიტყვა. ორატორმა მოიხსენია განსვენებულის დიდი თანაგძნობა კერძოთ „სინათლის“ მასწავლებლის დაარსების საქმეში, ანიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს, საზოგადოთ, ამ ტიპის ქართულ მასწავლებლებს ქართულ ცხოვრებაში.

ამის შემდეგ, მგალობელთა და მუსიკის სამგლოვიარო ჰიმნით პროცესია საკათედრო ეკლესიასთან შეჩერდა და ცხედარი ეკლესიაში შეასვენეს. წირვა და პანაშვიდი გადიხდა ყოვლად საღვდლო ეპისკოპოსმა გიორგიმ. წირვის შემდეგ, მასწავლებელთა კორპორაციის სახელით სიტყვა თქვა ლ. რუხაძემ და აქიდან ისევ სადგურისკენ გაემართა პროცესია. ამინდი ერთობ ცუდი იდგა. მარა ადგილობრივმა მოწაფეებმა მაინც ხელით მიაცილეს კუბო სადგურამდი. აქ მოსწავლე ახალგაზდობის სახელით, სიტყვით მიმართა ქართული გიმნაზიის მერვე კლასის მოწაფემ, ნ. დგებუაძემ.

სამშაბათს, დილის შვიდ საათზე, ცხედარი წასვენეს განსვენებულის სოფელში, რომელსაც გაყვა თფილისის და ქუთ. ქართ. გიმნაზიის მასწავლებელთა კორპორაციის წარმომადგენელნი, აგრეთვე იქიდანვე ჩამოსული მოწაფეები. იქ, ჭოლევიში გძნობიერი სიტყვა უთხრა ქარ. გიმ. მასწავლებელმა, დ. ოყროშიძემ.

ოკტავ ბირბო.

(1848—1917)

ახლანან საფრანკეთში გარდაიცვალა საქვეყნოთ დიდათ სახელგანთქმული ფრანგი დრამატურლი, რამანისტი და კრიტიკოსი, ოკტავ ბირბო.

ამ მწერლის მხატვრული ნაწარმოებნი ყველა კულტურულ ენაზე გადათარგმნილია. ქართულ ენაზეც არის ოკტავ ბირბოს ნაწარმები გადმოთარგმნილი, როგორც, მაგ. „კერა“ და სხვა.

ოკტავ ბირბო დაიბადა 1848 წელს, სწავლა არც კი ქონდა დასრულებული, ჟურნალისტობა რო დაიწყო. მარა ჟურნალისტობამ

ცხოვრების სახსარი ვერ მიცა მას და მთავრობის სამსახურში შევიდა. სამსახურსაც ვერ შეეგუა იმისი მდიდარი, მღელვარე ტემპერამენტი და მალე სულ თავი გაანება.

1877 წლიდან ოკ. ბირბო თელი თვისი ენერგიით და ტალანტით მიეცა მწერლობას რომელმაც მას მოუხვეჭა დიდი სახელი და უკვდავება. სახელოვან ემილზოლას შემდეგ, საფრანგეთში მას ბადალი არა ყოლია მხატვრობაში და მის ნაწერებს ახალგაზდობა გატაცებითაც კითხულობდა და თარგმნიდა სხვა და სხვა ენაზე.

1883 წელს, მისი რედაქტორობით გამოვიდა ყოველკვირული ჟურნალი, სადაც ოპორტიუნისმს სასტიკათ კიცხავდა და ანადგურებდა.

1884 წლიდან მან დაიწყო მოგზაურობა. სულ შემოიარა ევროპის დასავლეთის ქვეყნები და იყო რუსეთშიაც. აღწერა კიდევ მანამ ქვეყნების მკვიდრთა ყოფა-ცხოვრება.

სამშობლოში დაბრუნებულმა-ოკტავ ბირბომ დაიწყო ნორმანდიის სოფლის ცხოვრების პატარა-პატარა ამბებათ წერა და ამ საქმემ დიდი სახელიც მუხვეჭა მას მწერლობაში. ამას მოყვა რომანები, სადაც გესლით სავსე მხატვრობით მან ასწერა იეზუიტები.

ოკტავ ბირბომ თვისი კრიტიკით გაილაშქრა იმპრესიონისტების წინააღმდეგ და ამითაც დიდი სახელი დაიმსახურა მწერლობაში.

გასული საუკუნის ოთხმოციანებში, ოკტავ ბირბოს სახელი ქუხდა და ამ დროს სწორეთ იგი მიემხრო ანარქიზმს. მარა იმისი სათნო არსება ანარქიზმის ტერორისტულ აქტებს ვერ შეურიგდა და წერდა: „წამება, ხოცვა, ჟლეტა—აი ისტორია. ისტორიას ხომ აკალდამაა, სადაც მკვდრები განისვენებენო“. გასისხლიანებულ წარსულს ნულა დავუბრუნდებითო.“

იგი ქადაგებდა ბძოლას... მხოლოდ იდეურ სფეროში. სისხლი, ტერორი აშფოთებდა და გულს უკლავდა ამ კეთილშობილ ფრანგს...უნდა მოემზადოს ხალხი და საზოგადოება სულიერათ ცხოვრების უმაღლესი ფორმების მიღებით, რომ ამადლდეს მოქალაქის არსება და ფთები გაშალოს მისმა შემოქმოდებამ პრაქტიკულ ცხოვრ-

ბის პოლიტიკასა, მეცნიერებასა და მხატვრობაში. აი, ეს იყო ამ დიდი მწერლის იდეალი.

მარა ამხანაგებმა ანგარიში არ გაუწიეს ამ მოქალაქის სოფლიმანდველობას და 1894 წ. იტალიელმა კაზერიომ მოკლა უნიკიერესი ადამიანი, საფრანგეთის პრეზიდენტი სადიკარნო.

ამ ფაქტმა მოთმინებიდან გამოიყვანა ოკტავ ბირბო და ანარქისტებთან კავშირიც იმ წამსვე გაწყვიტა.

ამიერიდან ოკტავ ბირბო თვისი მეუღლით დასახლდა პუასში, სადაც იგი წერდა თავის საუკეთესო და შესანიშნავ ნაწერებს.

„საქართველოს“ თანამშრომელი, ზბ-ნი დ. კასრადი ასე ახასიათებს ოკტავ ბირბოს:

„ბირბო, უწინარეს ყოვლისა, ანარქისტია. მან არ უწყის კომპრომისი, არ უწყის, რა არი შებრალება. მისი რკინის კალმის ქარიშხალმა ყოველიფერი გადაანგრია. სამწუხაროთ, ბირბომ ამ ნგრევის იქით არ იცის, რა მოგვეცეს სამაგიერო. იგი ნამდვილი განსახიერებაა ჟანრულისა („ცული მწყესები“*), რომელიც გატაცებით აგიტაციას ეწევა მონობის წინააღმდეგ. იგი ბელადობს მუშათა მოძრაობას, მარა...ქარხნის გამგის შენიშვნისა არ იყოს, მან თვით არ უწყის, რა სურს“... მართლაც, როგორც ჟანრულის მოქმედება სტიქიურია, უპროგრამო, ისე ბირბოსი. ბირბო უფრო მხატვარია მხატვარი გაშნადგურებელი, ვიდრე პოლიტიკოსი. მან შეძლო ნაპოლეონის როლის შესრულება სამწერლო ასპარეზზე. მარა დიპლომატიის მხრივ, რო ნანგრევებს იქით ახალი რამ შეექნა, ფრიად უძლური იყო. ამიტომ იყო, რა თითქმის ყველა მისი გმირები სასოწარკვეთილებით ათავებენ თავიანთ როლს. ბირბოს სისუსტე სწორეთ იმაში მდგომარეობდა, რა ცხოვრებას ვერ მიუღდა სოციოლოგიური შეთოდებით, რომ ერთგვარი ნორმები აღენიშნა ადამიანთა მოქმედების მიზნის გამოსამუშავებლათ. ამიტომაა, რა სიცოცხლეს მოწყურებული მისი გმირნი, თუნდა ვთქვათ, „გოლგოთისა“, უმწეოთ აღაპრობენ ცისკენ

* ეს პიესა ქართულათ „ქან და მადლენათ“ არი ნათარგმნი. ჩანს, მთარგმნელთ რუსული თარგმანიო უსარგებლით. დ. კ.

ხელებს, ევედრება, რო გზა გაიხსნას: „ღიას, მე მსურს სიცოცხლე! მარა რა ვიღონო, რომ იღარ ვეწამო? როგორ მოვიქცე, რომ არ ვცოდო!„ (LeCalariaesCe. გვ. 520). მათრალია, ბუნების წიაღიდან შევნიერი ყვავილთა შრიალით ესმის შეგვიყვარეთ ჩვენაო, (LeCalarie. idid), მარა ასეთი ნუგეში ვერაფერა ნუგეშია სასომიხთილი ადამიანისთვის. მირბოს სოფლმხედველობის ტრაგიზმიც სწორეთ ამაში იმარხება. საზოგადოებიდან გათიშული გმირები უსპარეზოთ დატოვა. არისტოტელი ჯერ კიდევ ამ ორი ათასი წლის წინათ გვეუბნებოდა, რომ ადამიანთა ბედნიერება მოქმედებაში უნდა გამოიხატებოდესო. თითოულს ინდივიდუუმს-კი არარად ისეთი ნაყოფიერი ენერჯის დახარჯვა არ შეუძლია, როგორც საზოგადოებაში. ასკეტიზმისა და, საზოგადოთ, განდევილობის ტრფიალი მეოცე საუკუნეში შეუწყნარებელია, თუნდაც მკვდრეთით აღდგეს არა თუ ბრანდის ამაყი ავტორი იბსენი და ველური რაშით მქროლავი, წამების ცეცხლით შერყეული დიდი ნიცში, არამედ თვით უდიდესი ინდივიდუალისტთა ინდივიდუალისტი გიოტე. მირბო ვერ მიხვდა საზოგადობრიობის ფილოსოფიას, რო მიუხედავათ დღეინდელი უთანასწორობისა, უმაღლესი იდეა შემომქმედ სინტეზის შესახებ საზოგადობრივ გაივთარებაში, ისევე საზოგადო ძალთა წყალობით შეიძლება. ინდივიდუმა და ახლოვებით იქმნების ყოველთვის რაღაცა ახალი, უპიროვნო, რაიც თითოულ პირის სავალდებულო ზდება ბოლოს. ჟამთა მსვლელობაში ეს ახლად შობილი რაღაცა, იცვლის ფორმას, ხშირათ შინაარსსაც, იმავე ინდივიდუმა შემწეობით. მირბომ ვერ შენიშნა ამ მოვლენების ორგვარი მხარე, რო სოციალური მოვლინებანი ჩვენ გარეშე დგანან და წინ გველობებიან, როგორც ძალა და ავტორიტეტი. იგინი ახდენენ ჩვენზე გავლენას, გვიკძალავენ, გვაიძულებენ მოვიქცეთ ისე, როგორც სურთ და არა ისე, როგორც მოგვეპრიანება. მარა სოციალური მოვლინებანი არა თუ ჩვენს გარეშეა, არამედ ჩვენშივე მკიდროთ არიან და აღავსებენ ჩვენ სულს დიადი შინაარსით... მათი წყალობით, იმდენს რამეს ვეცნობით, რასაც ვერაოდეს, ჩვენთავად, ვერ მივხვდებოდით. მათი წყალობით ვიღებთ აუარებელ მა-

სალას, გამოცთილებას, მიმართულებას, მიზანს. სადაც ორი და სამი კაცი შეიკრიბება რაიმე საზოგადო საკითხის გადასაწყვეტათ, მათ შორის უნებურათ თავს იჩენს რაღაცა უმაღლესი, ზემიროვნული, რაც თითოულ მათგანისთვის, ისე დგას, როგორც ობიექტიური რამ. მარა მის სულსა და გულში-კი ღრმათ იჭრება, ფართოვდება და აღამაღლებს მას. აი, ამ საზოგადო სულის სიღრმეს, მის ფილოსოფიას ვერ ჩაწვდა მირბო, რის გამოც, მისი გმირნი უმწეონი დარჩენ და საზოგადოებიდან ლტოლვილნი ნუგეშს ისევე სიკვდილში პოვებდენ.

მირბო გვისაყვედურებს: „სასიცილოა, ამდენ ტანჯვას ითმენს ხალხი, ხედავს, რო საზიზღრათ ეპყრობიან და ამის გაგება-კი არა სურთ“ (LeCair, 516). მარა, განა ტანჯვის შეგნება საზოგადოებიდან ლტოლვაში გამოიხატება, ან და უფუნურს ნგრევაში? საქმე ის-კი არაა, თუ რა, როგორ გავანადგუროთ, არამედ ის, თუ როგორ გარდავქმნათ ცხოვრების პირობები უმჯობესათ, რო ნაკლები ბოროტება და ტანჯვა სუფევდეს. თუ საკითხს ასე დავაყენებთ, მაშინ ოქტავ მირბოს გმირები სულ დამნაშავეთა სკამზე უნდა გამოვაცხადოთ, ვინაიდან არც ერთი მათგანი არ შერჩა საზოგადოებას და თითოული მათგანი ეულათ წყევლის თავ-ბედს.

მიუხედავათ ამისა, დიდია მხატვრობის ძალა ოქტავ მირბოსი. მისი ცეცხლ-მფრქვევი კრიტიკა, ტანმთელი კაცის იუმორი, ფერადთა სითამამე და სილადე, მასთან გულწრფელობა, რაიც ასე იშვიათთა სამწერლო ასპარეზზე გამოსულისთვის,—აი ყველა ის ღირსებანი, რისთვისაც შეგვიძლია მირბოს უპროგრამოზა ვაპატივოთ.*) რაც უნდა იყოს, საფრანგეთს მოპასანისა და ზოლას შემდეგ, ასეთი დიდი რომანისტი არ დაუკარგავს. შეიძლება, საფრანგეთი აღრტვინდეს და კიდევ ახალი პროცესიები გაიმართოს პარიზის ქუჩებში მის სასარგებლოთ და საწინამდღევოთ. მარა პანთეონის კერას ვერავინ დაუზობს, როგორც ვერავინ დაუშალა ზოლას ნაშთის გადატანა ვოლტერისა და ჰიუგოს გვერდით უკვდავ აჩრდილთა შორის განსასვენებლოთ...“

*) წმინდა მხატვრისთვის ვაწრო პოლიტიკური პრეტენზია, რომელსეც პასხებს ჩვენი ახალგაზდა მწერალი, მაინც და მაინც საჭიროც არ არი. **ხომლოლი.**

ს ა ტ რ ფ ო ს!

სიყრმის დღიდან შენ მზეს ვფიცავ, შენი ტრფობით აგზნებული,
 ობოლ სულის ზეაშიადო, შენ გეკუთვნის ჩემი გული...
 შე ტანჯვის ზღვის ტალღამ მშობა, ღვთაებავ, შენ შესამკობათ,
 და მიწის ზვილთ სულის სწრაფვის საიდუმლოს გასაცნობათ...
 ჩემი ნაზი გძნობის ჩანგი, შენ სახოტბოთ ავაჟღერე,
 და სიშების შეწყვეტამდი შენთვის იყლერს—დამიჯერე...
 შენ, სიცოცხლის ვარსკვლავი ხარ, ცის ტატნობზე მოკამკამე.
 შენ ხარ ჩემი გულის ვარდი, ჩემი ღებნა და სიამე...
 შენ ოცნების ყვაელი ხარ, აღთქმის ბაღში ამოსული,
 შენ ერთს ძალგიძს მომირჩინო, ობოლ სულის მძიმე წყლული...
 როს ცხოვრება არ მიბრალებს, მტანჯავს, მზაგრავს, მიკლავს გულსა,
 ერთ წუთითაც არ იმეტებს ჩემთვის ღებნა—სიხარულსა...
 როცა ღამე, შავი ღამე, მიბნელებს გზას, შენკენ სავალს,
 როს ცრემლები არ ამრება შენთვის მტირალს, ჩემს მიმჭრალ თვალს,—
 როცა იმედს მომავლისას სევდის ჯარი ეომება,
 როცა ჩაგრულს, შენ შემყურეს, მეკარგება სასოება—
 ამ დროს, გიხმობ, გიხმობ გზნებით, შენკენ იღტვის, სული, გული,
 საღ ხარ, სადა, ფიქრის ვარდო, რომელ ზხარეს დამალული...
 ერთხელ კიდევ დამანახე ღვთაებრივი სახე შენი,
 და, სანაცვლოთ, თუნდ მიიძღვენ ჩემ სიცოცხლის მკრთალი დღენი!..

1915 წელი.

ს. ვარდოშვილი.

მ. თფილისი.

სიკვდილის ქანდაკება.

ს ა მ ნ ა წ ი ლ ა თ.

ძღვნათ ტერ—ა მკვარანას ასულს.

ზღაპირა და სინამდვილე.

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა წ ი ლ ი.

პ რ ო ლ ო გ ი.

იყო და არა იყო რა, იყო ჭაბუკი.

ჭაბუკი წარმტაცი. ჭაბუკი, ვით ოცნება.

და ცხოვრობდა იგი კოშკში, მიუვალ კოშკში.

და ოცნება იყო მისი სატრფო. ოცნება იყო მისი ნეტარება.

და თელს დღეებს ოცნებაში ატარებდა.

სალამოს ვამს-კი, როცა ნიავე ნელა ატოკდებოდა, როცა იგი შრიალს იწყებდა,

ჭაბუკი ნელა ფანჯარას აღებდა და ცელ-

ქი ნიავე ბებერი ქალის სახით ოთახში შემოიჭრებოდა. ერთს შეხედავდა ჭაბუკი.

გაიღიმებდა. ნელა დაეშვებოდა ვეფხის ტყავით მორთულს სავარძელზე... დაეშვებოდა, გვერდს მოისვამდა უცხო დედაბერს და ყურს უგდებდა... თავჩაქინდრული, სმენათ ქცეული. იგი ჭაბუკი ვერ ამჩნევდა, როგორ იღებდა დედაბერი მომხიბლავ სახეს...

ვერ ამჩნევდა, ბებერი, როგორ ახალგაზღვრულად გარდაიქმნოდა.

და ღილაში უამბობდა იგი ზღაპრებს, დილაში ათასნაირ ფერადებით უხატავდა ჯადოსნურ ამბებს.

ცეცხლით იწვოდა ნაზი ასული. მარა ჭაბუკი ცივი იყო, ვით იაღბუზი, რათგან ასულს, შევნიერ ასულს ვერა ხედავდა.

მხოლოთ შვა ღამისას, აიღებდა ჭაბუკი მალღა თავს... შეხედავდა უცხო მოამბეს. და-

ინახავდა საუცხოო სილამაზის ქალს.

მარა იგი ზღაპრის საოცნებო გმირი ეგონა, თვისი ფანტაზიით გაშუქებული.

გაიღიმებდა.

მან იცოდა, რომ ზღაპრებს დედაბერი, მხოლოდ დედაბერი მოუთხრობდა.

ჭაბუკი დარწმუნებული ისევ დასწევდა დაბლა თავს და ასე დილაში ზღაპრებს უსმენდა.

დიღოს, როცა მამალი პირველ „ყიუღი-ყოს“ დაიძახებდა, ასული იგი ისევ ბებრათ ქცეული, ფანჯარაში ნიავის სახით გაისრიალებდა.

იგი სევდიანი შემოიჭრა ერთ საღამოს... სევდით მიუჯდა ჭაბუკს ფერხთით და, ცეცხლით აგზნებულმა, დაიწყო თვისი ზღაპარი.

ცრემლით თხზავდა ყოველივე სიტყვას! ტანჯვით ფერავდა, სულის ძაფებზე აბამდა და ქვითინით ჭაბუკს უამბობდა.

მამლის ყვილმა რომ მოაწია, ჭაბუკს შეკადრა:

ჭაბუკო, აღარ ვიცი მეტი ზღაპარი.. ბაგენი ჩემნი მეტს ველარ გამოთქმენ.

— მაშ, აღარ მოხვალ?!
— მე მოგიტხარ უკანასკნელი... და იგი იყო ჩემი თავგადასავალი!! მე მოვალ, მარა მე გავაგძელებ ჩემს ამბავსო, გავაგძელებ უსიტყვოთ განაო.

— მაშ, აღარ გავიგონებ შენს ტკბილს ზღაპრებს?!
— ჭაბუკო, მე მოვალ და შენ განიცთი ზღაპარზე ტკბილს: ლეგენდას ჩემი სიყვარულისას... მე მოვალ შენს სააღერსოთ...

— დაიკარგე, დედაბერო, წამოიძახა რისხვით ჭაბუკმა... ამ დროს გაისმა მამლის ყვილიც... და წამოიჭრა ასული მომხიბლველი, ფთა-ფთას შემოკრა... ჭაბუკს კოცნა მოტაცა და ფანჯარაში ქვითინით გავარდა... მხოლოდ ახლა მოკრა ჭაბუკმა შევნიერ ასულს თვალი. მიხვდა ყველაფერს.

მარა... გვიანდა იყო... და გადმოყარა ცრემლები... საღამოს გულის ტოკვით უცთიდა... და ბინდდა... ღამე გამეფდა... არავინ იყო...

და სევდით დაიწყო ჭაბუკმა გძელი ლამების თვლა...

ბოლოს, ველარ გაუძლო.

ველარ გაუძლო საშინელ სევდას...

და შეიძულა თვისი ოცნება, რომელიც არას აძლევდა...

შეიძულა და კოშკს მოშორდა... მომხიბლავ ასულს გაშოუდგა იგი სიძებრათ.

მარა იპოვის?

და, თუ იპოვის, გაუფთხილდება?!

ნელა კიაფობს სანთელი,

სანთელი ლურჯ თალხში გახვეული; ნელა ბეუტავს და ლუჯ სხივებს უზარმაზარ ატელიში აპნევს.

უზარმაზარი მოშავო ლანდი კედლებზე ხეტიალებენ, რომელსაც ისერის აქა-იქ გაბნეული ქანდაკებანი.

ლურჯათ კრთის ატელიე.

ლურჯათ იბნიდება თელი დარბაზი...

ხავერდოვან ლურჯ სავარძელზე ზის ახალგაზდა მოქანდაკე და ერთ ქანდაკებას, რომელიც მის ახლოს დგას, სევდით მიჩერება...

სევდით, ერთნატივით გაყურებს იგი ახალგაზდა ასულის ქანდაკებას...

მოქანდაკემ იგი მაშინ შექმნა, როცა ცეცხლი შემოქმედების წვადა მის არსებას...

ტკივილებით, შემოქმედების ტკივილებით ამორგებულმა წერაქეს ხელი წამოავლო და შემოკრა იგი ურჩ მარმარილოს.

და დაიპნა მარმარილოს პირველი ნამცეცები და წყევა, პირველი შემოქმედობის წყევა ამოსკდა ახალგაზდა მოქანდაკეს გულიდან...

მაშინ იგი, რომელიც ხატებათ იხმარა, კისკისა ასული იყო: ლღი, უღარდელი. და, როცა ცეცხლით, შემოქმედების ცეცხლით აგზნებულმა მოქანდაკემ წყევით დაიწყო თვისი მუშაობა, კისკისა გოგონას ხატებათ მოწვეულს შუბლი დაღარა. კისკისი მისი შეწყდა და იგი მოიღუშა... მოიღუშა, მარა ღიმილი მის ტუჩებს მაინც არ შორდებოდა. ყელმოღერებული იდგა იგი ასული, რომლის სახელი ხევდო იყო. ოქროს ფერი თმა მოღია დებულ მკერდზე ჩანოვანია და გაყურებდა;

როგორ კვეთდა ახალგაზდა მოქანდაკე ურჩ მარმარილოს...

ოხვრით... ცეცხლმოკიდებული კვეთდა იგი მარმარილოდან სევდოს ნაზ სხეულს. უცქეროდა სევდო, როგორ კვესდა მოქანდაკის თვალები... უცქერდა, როგორ კვესდა წერაქვი...

ნაპერწყლები ჩაღებოდნენ ირგვლივ, ერთმანეთს გულში ეკროდნენ და ალს აჩენდნენ, რომელშიც იწვოდა მოქანდაკე და სევდოსაც წვავედნ...

იწვოდა სევდო...

იწვოდა... და ვერ ატყობდა, როგორ იძრობდა თხელს მოსასხამს და ნახევრათ ტიტველი იბნიდებოდა... იწვოდა იგი და კისკისი მისი, ხომ აღარ ისმოდა!!

არა თუ კისკისი, ღიმილიც დაეკარგა.

მიაკვდა ტუჩებზე ღიმილი და სევდამ გაუთამაშა ტუჩებზე—მოეფინა თელ სახეზე და დიდრონ შავ თვალებში დაბინავდა.

მოქანდაკე-კი კვეთდა ჯერ მის ტანს და, როცა სახისთვის უნდა მეტყველება ჩაექსოვა-მისთვის ეს უბრალო საქმე გამოდგა.

და მოქანდაკემ შექმნა ქანდაკება...

შექმნა და კვეთილ მარმარილოს დაარქვა: „სევდა სიყვარულისა“. და ბედნიერი მიჩერებია იგი ახლა თავის შობილს...

მიჩერებია და იღიმება...

ჰო, მოქანდაკემ შექმნა უკვდავი ქანდაკება, რომელიც მას სახელს მიცემს და დიდებას. მან შექმნა „სევდა სიყვარულისა“.

და ბედნიერია.

გაუნელდა ცეცხლი. მშვიდია მოქანდაკე. და იგი, სავარძელზე წამოწოლილი ლურჯ სხივთა თალხში გახვეული, იზმორება.

იზმორება...

ახლო ოთახიდან-კი ჩონგურის ტკბილი ხმა ისმის.

ესმის მოქანდაკეს და იზმორება.

მის წინ-კი ლურჯ თალხში გახვეული დგას მარმარილოს სევდიანი ასული. მას შიშველ ბეჭებზე უხვათ აყრია შავი თმა... სევდიანი თვალები შორს გაყურებენ.

შორს და სევდით კრთიან.

სევდით კრთიან, თითქო ტირიან იმ ჩონ-

გურის ხმებთან ერთად, რომელიც ახლო ოთახიდან მოისმის..

ზღაპარი და სინამდვილე...

კარი იღება და ლურჯათ მოციანე ოთახში მოხუცი შემოდის...

მოხუცი დედაკაცი, რომელიც ახლო ოთახში ჩონგურს აქედრებდა.

— ბები, იძახის ახალგაზდა მოქანდაკე და ზეზე დგება.

ბებია ნელა მოდის. იგი ჯერ კიდევ შვანის ქალია; ნელა მოდის და მოქანდაკეს შუბლზე კოცნის.

— ვანო, ეუბნება მას, მოგეწყინა უზღაპროთ!!

— ბებია, რამდენი ხანია, აღარ გიამბოია!! რამდენი ხანია!! მე ვსევდიანობ ზღაპრისთვის...

— ჰო, დიდი ხანია, არ გიამბოია, არ გეცალა შენ ზღაპრისთვის... ახლა-კი გიამბობ.

მოქანდაკე სავარძელზე ჯდება. ბებია თვით სავარძელშია.

სიჩუმე ჩამოვარდება.

ნელა კრთიან ქანდაკებანი.

ნელა კრთის მათი მოშავო ლანდი ლურჯ ოთახში.

ჩუმათ არიან ბებია და შვილიშვილი.

სიჩუმე ირღვევა.

— ზღაპარი გინდა? ეკითხება ბებია.

— ჰო, მინდა. და ბებია ზღაპრს იწყებს და კანკალებს მისი ხმა და უამბობს ზღაპრებს.

ლოცვასავით გაისმის მისი ტკბილი ზღაპრები... მოქანდაკე-კი ყურს უგდებს... ყურს უგდებს... ხან თვალს მიაშტერებს „სევდა სიყვარულისას“, მიაშტერებს, მარა ზღაპარი იტაცებს მას.

და ცურაობს იგი ზღაპრის ქსელში და ნელა კაფობს სანთელი ლურჯ თალხში გახვეული.

— გეძინება? ეკითხება ბებია.

— არა, განაგძე.

— მა, რას დახუჭე თვალები?!

— ბებია, ხვალ ხო ჩემი დაბადების დღეა? ხვალ მე ხომ ოცი წელიწადი გამიბდება?!

— ჰო, ხვალ უკანასკნელ ზღაპარს მო-
გიყვები, მეტს ჩემგან შენ ველარ გაიგონებ...

ხვალ უკანასკნელ ზღაპარს?

— ჰო, შენ აწი ზღაპრებისთვის აღარ
გცალია...

— რათა, ბებია, ადამიანის სულს, რა
ასაკშიც არ უნდა იყოს—ხანდახან ზღაპრები
ჭირდება...

ვანო ქანდაკებას აშტერდება...

ზეზე დგება, უახლოვდება...

— ეს მე შევქენი... მე... მეკუთვნის..
ეგ ხომ ჩემი უკანასკნელი ზღაპარია, რომე-
ლიც მე ჩემთვის შევქენი... შემოხედე... შე-
მოხედე, ბებია, ეს ცხოვრებაა, თუ ზღაპარი?!

-- ბებია, ეს ცხოვრებაზე დიდია, ცხოვ-
რებაზე...

თრთიან ვანოს ტუჩები...

— ეგ შენი ცხოვრების ზღაპარია, ეუბ-
ნება ბებია და გადის.

გაშტერებული რჩება ვანო.

მისი ღანდი ლურჯ კედელზე კრთის.

მისი სული თრთოლავს...

ქანდაკება მას, თითქო თვალეში მიჩე-
რებია და ეუბნება:

— მე სევდა ვარ შენი ცხოვრებისა...
ზღაპარი ვარ შენი სულისა და, ამიტომაც,
შენ კრთი!

მიჩერებია ვანო ქანდაკებას, რომელიც
მან ცეცხლით შექმნა და კვლავ საშინელი
ცეცხლი წვაეს მას... ცეცხლი ნაცნობი, მა-
რა გამოუცნობი...

და ნელა ეშვება იგი ქანდაკების წინ და
მისი ტუჩები ბუტბუტებენ ალმურ ლოცვას.

ცივია ქანდაკება.

ცეცხლია ვანოს სული.

და ცეცხლმოკიდებული სული სასხვერ-
პლოთ იქცევა... იქ-კი საკმევლათ ვანოს გუ-
ლი ალითა დნება.

დაეკიდება.

და იწვის... იწვის...

ვანო საკმევლათ იწვის.

იწვის და ცხოვრების მომხიბლავ ზღაპარს
უხმობს.

დაჩოქილი ქანდაკების წინ—საოცნებო
ზღაპარს ქარგავს...

სევდა სიყვარულისა.

კრემლი დის.

კრემლი დის იმას, რომელიც მუდამ იცი-
ნოდა. მარა მან დაკარგა თვისი სიცილი, რათ-
გან მას ცეცხლის თვალეებით უთხრეს, რო
სიცილი შეუძლებელიაო.

ლიმილიც მოტაცეს... სევდა მიცეს და
უთხრეს: შეიყვარეო. და ისიც დათანხმდა, რათ-
გან ძალა აგი უძლეველი იყო. დათანხმდა,
რათგან იგი ძალა დაპირდა: სიყვარულს. და
მართლაც, მას სიყვარული მიცეს... სიყვარუ-
ლის სევდამ დაისაკუთრა სევდოს გული, ამ
სევდამ მოკუმშა იგი, მოკუმშა და შიგ სიყვა-
რულის სახელით დაიბუდა.

სევდომ დაკარგა კისკისი, გამოეთხოვა
სიცილს.

იგი ახლა სევდაა სიყვარულის, სევდა,
რომელაც მის დიდრონ თვალეში გამოკრთის.

სევდა, რომელიც მის სახეზე აღბეჭდილა,
ნელა კრთის, კრთის და ეს კრთომა სევდოს
უფრო მომხიბლავათ ხდის... იგი სევდაა სი-
ყვარულისა! სევდა ცოცხალი, სევდა—სინამ-
დვილე. და ამ სევდას უყვარს! უყვარს ის,
რომელმაც იგი შექმნა. იგი შექმნა მქანდაკმა
და ამ სევდას მქანდაკი უყვარს.

და კრემლი დის სევდას...

კრემლი დის დიდრონ თვალეებს, რომე-
ლიც მხიარულათ იციქრებოდა. კრემლი წვაეს
იმ ლოყებს, რომელიც ატმის ყვავილივით ყვა-
ოდა.

მქანდაკმა დაიმონა ასული.

მოტაცა კისკისი, მოტაცა სიცილი. მიცა
სევდა—ამ სევდით ისარგებლა და შექმნა უკ-
ვდავი ქანდაკება.

შექმნა: „სევდა სიყვარულისა“.

მქანდაკმა შექმნა ორნაირი სევდა:

სევდა ქანდაკებაში ჩაქსოვილი.

სევდა სევდოში ჩაქარგული...

სევდა ჩააქნა—მარმარილოს, სევდა ჩა-
აწნა ახალგაზდა ასულში...

დაბადების დღე.

ბები, დღეს ჩემი დაბადების დღეა.
იგი ხო მართო ჩემმა მეგობრებმა იცის?! ბები
ჩემს ატელიეში: ყანწები ვარდებით ვინ მორ-
თო?

არ ვიცი.

— ბები, დღეს ხო მოვა ჩემი სიყრმის მეგობარი—გიგო.

— მოვა...

— ბები, დღეისთვის სევლა ხო არ მოგიწევია?

— ისიც მოვა. ამ საღამოს მარტო სევლა და გიგო იქნებიან.

— შე უკანასკნელ ზღაპარს ვიამბობ... გიგო მოვითხოვს, თუ ქვეყნათ, რა ხდება... სევლა-კი, სევლა...

ასე საუბრობდნენ ვანო და ბები.

კოლხეთის ვეშაპი-კი დასავლეთიდან ისვროდა უკანასკნელ ოქროსფერ თაიგულებს, რომელნიც მალევე იშლებოდნენ და კოლხეთს აქა-იქ გულში ეკვროდნენ.

— ბები, შეხედე ამ ქანდაკებას.

— შეილო, დაჩუმდი, ქანდაკებას თალხი გადააფარე.

— რათა, ბები?

— გადააფარე, დღეს შენი დაბადების დღეა. დღეს სხვაზე უნდა იფიქრო.

არა, ბები, ასე შეგონია, რომ ეს ქანდაკებაც ჩემთან დაიბადა... რო ჩვენ ერთად წარმოვივიეთ. ასე შეგონია, რომ ეს ზღაპარია ჩემი ცხოვრების, რომელიც მალე მომცილდება და ამიტომ ხარბათ უნდა ვუცქირო...

ვეშაპმა უკანასკნელათ დაამთქნარა, მკრთალი სხივები ყველა ჩაყლაპა და ძილს მიეცა... მხოლოდ ხვრინვით წამოსროლილი სხივნი წითლად ფარფარებდა ცის დასავლეთით...

ამ დროს, გიგო ფეხაკრეფით შემოვიდა დარბაზში. იგი მეგობარი იყო ვანოსი... ერთად გაათავეს გიმნაზია, ერთად იყვენ საზღვარ გარეთ. ერთად დაბრუნდნენ. შემოვიდა გიგო და ვანოს ატელიეს მიაშურა...

— მე მინდა დაბადების დღე იქ მოგილოცო, სადაც შენ ცოცხლობ და სადაც სულიერათ იბადები! ეუბნება გიგო. ნელა შემოდის სევლა-ც და ვანოს ხელს ართმევს.

სიჩუმეა.

ნელა ზის ვანო ხავერდოვან სავარძელზე. გიგო ვვერდს მოჯდომია. ბებია გაჩერებია ლანდს, რომელიც კედელზე ფარფარებს...

გაჩერებია, იგი მას წარსულ ცხოვრებას აგონებს. სევლით შიჩერებია სევლა თალხში გახვეულს თვის ქანდაკებას.

სიჩუმეა.

ფარფარებს დარბაზში ოქროს ფერი სსივები. ძვირფას რქებში ინახებიან ხავერდის ვარდნი. თავის სურნელებას დარბაზს ანეგვენ.

— სევლა, შეილო, დაუკარ რამე.

სევლა ნელა ღვება. მიღის როიალთან. გაისწის სველიანი ხმები, გაიფარფარებს წელი ქვითინი. ვანო ზეზე ღვება. ქანდაკებასთან მიღის... ნელა გადაკრავს თითებს თალხს და გამოჩდება: „სევლა სიყვარულისა“...

გიგო გაცვიფრებული წამოვარდება.

ჩერდება მუსიკა.

— ეს რა არის? ეკითხება გიგო.

სევლა ჩემი ხელოვნებისა, უპასუხებს ვანო და ქანდაკებას თვალებს მიბაყრობს.

— ეს რა არის?

— სევლა ჩემი სულისა!

— ეს ვინ არის?

— ეს „სევლა სიყვარულისა“.

— მითხარი, ვანო, ეს რა ვიქნია, ეს რა მოუხაზავს შენს ოცნებას, რა გამოუკვეთია შენს წერაქვს! ეკითხება გიგო.

— მე შევქენი ის, რაც შექანდაკს უნდა ექმნა. ჩემმა ოცნებამ მოხაზა ღვთაება შევნიერებისა, ჩემმა წერაქვმა გამოკვეთა აფროდიტე თანამედროვე სველსა.

გაშტერებული უკვირდება გიგო... გადახედავს სევლას, რომელსაც თვალები კრემლითა აქვს სავსე. თავს გააქნვეს... ნელა გაივლის.

— შეიღობით, ეუბნება იგი ვანოს. დღეს შენ ოცი წელი შეგისრულდა. დღეს შენ ის აღარ ხარ, რაც იყავი... დღეს, შეგონა, შენთვის კიდევ ბებიას ზღაპარი იყო საჭირო, მარა შენ აღარ გჭირდება ზღაპრები. ის, ვინც ქმნის ასეთ რამეს, იმისთვის ზღაპარი აღარაა საჭირო. მან ყველაფერი უნდა გაიგოს.

შეიღობით, ვანო.

ვანო შემინებული მიჩერებია გიგოს. იგი გძნობს, რო გიგო შემცთარია, რო მას, მხოლოდ ახლა, ახლა კირდება ზღაპრები, რო

მას ახლო უნდა ცხოვრების დაფიქცება, სინამდვილის გაქრობა.

— დარჩი, ნელის ხმით ეუბნება იგი, მოისმინე ბებიას უკანასკნელი ზღაპარი, შენ ხო ჩემსავით გიყვარდა იგი!

— არა, შენ აღარ გინდა ბებიას ზღაპარი. შენ სხვა მოგიხსრობს იმას—მარა სხვა ვნით... ეუბნება, კოცნის და ჭადის.

ვანო სევდიანი სავარძელში დაეშობა.

— ვერც მე მოგიხსრობ შენს დაბადების დღეს ზღაპარს... შენ იგი აღარ გჭირდებო!.. ეუბნება ბებია...

— ბებია, შენ უნდა მიამბო, აკი შემპირდი!

— მე აღარ ვიცი. რაც ვიცოდი, ყველა მოგიყვებო, შენ ქაბუკი ხარ, კმარა ზღაპრები... შენ ცხოვრება უნდა გაიგო... აწი სხვა მოგიხსრობს მომხიბლავ ზღაპარს, ის დაგაფიქცებს წარსულს, ბებიას ზღაპრებს...

ზეზე ღვება.

მიდის.

სიჩუმეა.

მალე ახლო ოთახიდან სიცოცხლის ამტოკებელი ჩანგურის ხმა გაისმის.

სევდო—კრთება... იგი მარტოა ვანოსთან. ზეზე ღვება ვანოსთან მიდის თავსებადგება.

მათი თვალები ერთმანეთს შეხვდება.

ვანო თავს დახრის.

სევდო მის წინ უხმოთ იჩოქებს...

იგი სიყვარულის ზღაპარს უყვება ვანოს...

— ეგ სინამდვილეა... არ მინდა... მე ხელოვნებას ვეკუთვნი. დაიძახებს ვანო და გარეთ გადის...

ნელა ღვება სევდო.

ქვითინებს.

მან დაიწყო ზღაპარი, მომხიბლავი ზღაპარი ყველა ზღაპრებზე, მარა მისი არ გაიგონეს, რათგან შიგ სინამდვილე იყო ჩაქსოვილი.

სევდომ დაიწყო ზღაპარი, მარა არ ირწმუნეს იგი, რათგან ზღაპრის გმირი თვით იგი იყო...

ვანოს ზღაპარი—ცხოვრების ზღაპარი, ოცნებაში უყვარდა და არა სინამდვილეში.

მას სევდა უყვარდა ქანდაკებისა და არა თვით ქანდაკება...

და სევდოს ზღაპარი არ გაიგონეს.

არ გაიგონეს და სევდო ქვითინით მოშორდა ვანოს ატელიეს.

შეცდა გიგო, შეცდა ბები, რომელნიც სხვანაირათ ფიქრობდენ.

მარა ისინი ფიქრობდენ, როგორც მომავლადენი...

ვანო-კი ხელოვანი იყო—გატაცებით სავსე და ჯერ მხოლოთ ამ გატაცებით ცხოვრობდა...

ხელოვნება და სიყვარული.

ვანო...

იგი ხელოვანია.

იგი მქანდაკია!

მისი სული ფაქიზია, ვით ჭაჭაფხულის მზის სხივთა მიერ ნაშობი ია!!

ია მკთალი, სევდით მომცქერალი...

მისი სხეული სუსტია, ვით ღერო წარგისისა, რომელიც მორცხვათ თავსა ხრის, თვისი სისუსტით დაღონებული...

ვანო.

იგი მქანდაკია, რომელმაც კიდევ ათი წლისამ თიხიდან შექმნა სევდა თვისი სულისა და „ცრემლი“ უწოდა.

მან ბავშობიდან შეიყვარა თიხა. შეიყვარა იმ სიყვარულით, რომელიც მისთვის ყველაფერი გახდა.

და მან შეიყვარა ქანდაკობა, შეიყვარა ხელოვნება.

იგი ბოდავდა სახეებით, ბოდავდა თიხით და მარმარილოთ!

კოცნიდა თავის შექმნილ სახეებს.

კოცნიდა თიხას, მარმარილოს.

ბებია ზღაპრებით ზდიდა თავის ერთადერთ მემკვიდრეს...

ვანოც ხარბათ უსმენდა მის მომხიბლავ ზღაპრებს! უსმენდა და სული მისი სპეტაკდებოდა.

ვანო ორნაირი ოცნებით ცხოვრობდა: მისთვის ცხოვრება ხელოვნება იყო—

ხელოვნება—ზღაპარი.

ამასთან იზდებოდა ფუფუნებაში: მან არ იცოდა სიღარიბე, რათგან ზღაპარი მისი ცხოვრება იყო! მან არ იცოდა გაჭირვება, რათგან იგი საოცნებო ჯადო გმირი იყო.

ასე იზღებოდა ვანო.

იგი მომხიბლავი ქაბუკი იყო, რომელსაც ხელოვნება ასაზღოებდა!

ხელოვნება მისი სიყვარული იყო!

ქანდაკებანი—მისი სატრფონი...

და, როცა მან „სევდა სიყვარულის“ შექმნა, უსაზღვრო ბედნიერებამ შეიპყრო...

„სევდა სიყვარულისა“...

ვანო მიშტერებია...

იგი გაშტერებული ღვას.

ღვას ქანდაკების წინ!

ღვას თავის შობილის პირდაპირ...

ვანომ ცეცხლით შექმნა იგი.

ტანჯვით წარმოშვა.

ტიროდა, როცა ქმნიდა.

თვისი ცეცხლით მან ჩააქრო სევდოში მალხაზი კისკისი.

ჩააქრო, რათგან ვანოს სევდა უნდა შეექმნა...

დასწვა სევდოს სიცილი...

დაადნო სევდოს ღიმილი

და სევდა ამოქნა ასულის თვალეებში...

სევდა ამოქარგა ასულის ტუჩებში..

სევდის ბადე მოქსოვა და სევდო შიგ გააბა!

და არც ეს სევდა დაინდო მისმა მხატვრულმა სულმა...

ეს უკვდავი სილამაზე სევდის მან მოიტაცა და მარმარილოში ამოკვეთა...

ამოკვეთა.

ამოკვეთა და მხიარულმა თვალი მოაფლო თავის შექმნილს.

მოავლო და ქანდაკებაში ამოკვეთილმა სევდამ იგი დაიმონა.

დაიმონა იმ უკვდავმა, დიდმა სევდამ, რომელიც მარმარილოს ჩააწნა!

დაიმონა და ვანო ფიქრს მიეცა..

ფიქრს ზღაპრულ სევდაზე..

ფიქრს უკვდავ ქანდაკებაზე..

და, როცა თავის წინ სიყვარულის მთხოვი სევდო დაინახა: შეკრთა.

შეკრთა, რათგან ვანო ქანდაკების სევდას ყავდა დამონებული...

იმ სევდას, რომელიც მუდმივი იქნებოდა ქანდაკებაში.

ვანომ იცოდა, რო სევდოს სევდა დროებითი იყო, რომ იგი ისევ ის კისკისა სევდო შეიქნებოდა, როცა აპოვიდა იმას, რასაც ეძებდა.

სევდო სიყვარულისთვის სევდიანობდა.

ვანო-კი, როგორც ხელოვანი, შევნიერ სევდას, მუდმივ შევნიერ სევდას ეძებდა.

მან იგი სევდოს მოტაცა და ქანდაკებაში ჩამოაწნა..

და, აი, ეს სევდა, სევდა მუდმივი შეიყვარა ვანომ! და უარყო სევდო..

სევდო მატარებელი დროული სევდისა.,

ვანო ხო მხატვარი იყო და იგი, როგორც ხელოვანი, სამარადისოს ეძებდა.

და ასეთი სამარადისო მისი ქანდაკება იყო? სევდა ქანდაკებისა არაოდეს ღიმილით არ შეიცვლებოდა.

სევდა „სევდისა“ არაოდეს არ გაქრებოდა...

იგი სრული იყო და ეს სისრულე ვანოს ხატება იყო.

იგი ზღაპარი იყო მისი სულისა.. ზღაპარი მუდმივი.

ზღაპარი დაუსრულებელი...

ბებიამ ზღაპრები დაასრულა..

დაასრულა და ვანოს სინამდვილეზე მიუთითა.

ეს სინამდვილე სევდო იყო, რომელმაც მოინდომა წუთიერი სევდით ვანო დაეპყრო..

მარა სინამდვილემ ვერ დაიმონა ვანო.

მისთვის, ჯერ კიდევ მუდმივი ზღაპარი იყო საჭირო!

და იგი იჩოქებს თვისი ქანდაკების წინ და თაყვანს ცემს დაუსრულებელ სევდას.

ვანო, ვით ხელოვანი, სამარადისოში აქსოვს თავის სულს.

იგი, ვით ხელოვანი, სისრულეს ეტრფის..

მას ზღაპრით უნდა იცხოვროს, რათგან სინამდვილე მის სულსა ბორკავს.

იგი ოცნებას ფთებზე აჯდება, ტოებს მიწას... ზეცას მიდის...

იქიდან იყურება...

მიწის სინამდვილეს ზღაპრათა ქმნის და მის წინ ქედს იხრის...

საბედისწერო ჯანდაცება.

გადიცოცებს თხელი თალხი —
და ჩდება ჯანდაცება!

ქაბდაცება: „სევდა სიყვარულისა.“
შორს, სივრცეს გაყურებენ მისი სევდიანი თვალები!

სევდას დაუბურავს მისი მკრთალი ლაწვები.

სევდა თრთის მის ტანში...
კანკალებს ჯანდაცება..

და მის წინ ნელა ეშვება, ვილაც ჯაბუკი.
ეშვება და ხელებს შემოხვევს მის ფერხთ.
შუბლს დადებს მის ფეხთა ნაკვთებზე და
გაისმის ნელი ქვითინი.

ქვითინი —
ნელი, ვით ლოცვა, პირველი სიყვარულისა,
უცოდველ სულის მიერ შექმნილ-თრობილი..

ნეტავ, რას ქვითინებს ჯაბუკი?!

რას ქვითინებს ის, ვინც შექმნა ეს ჯანდაცება?!

ჯანდაცებაც ხო სევდიანობს,
მარა იგი არ ქვითინებს!!

ქვითინებს მქანდაკი.. ქვითინებს, რათგან
ვერ გაუძლო მარმალილოში ჩაქსოვილ ტანჯვას.

და ცრემლებსა ღვრის!

ღვრის და ცივ ჯანდაცებას უხვთა რწყავს.

ჯანდაცებას ეკვრის.

ჯანდაცება — კი შორს გაყურებს, მისი
სევდა შორს, შორს მიფრინავს, შორს!

მიფრინავს და სურს სულ სევდათ დადნეს,
გაქრეს, რათგან ვერ იტანს ჯაბუკის უსაზღვრო სევდას.

— მიყვარხარ.. შენ ჩემი ღმერთი, ჩემი ღვთაება
ხარ და იქნები!

ისმის ჯაბუკის ტანჯვით ნაქსოვი სიტყვები.

ზეზე დგება.

აშტერდება..

კანკალებს და ჯანდაცებას მიეკვრება.

უკოცნის ხელებს, უკოცნის თმას.. თვალებს.

ჩაეკონება ცივ მარმარილოს ტუჩებს და დაიკვნესებს:

— გაცოცხლდი.. წამით გაცოცხლდი..
ქანდაცებავ! მე ხო შენ შეგქმენი?!

კოცნის.
კოცნის და ქვითინებს.

მქანდაკი იწვის.. იწვის და დნება. იწვის
იმ ცეცხლით, რომელსაც ტრფობა ქვია.

ძალა აკლდება.
ნელა ჯანდაცების ფერხით ეშვება. ხელებს
შემოხვევს და ნელა ქვითინებს..

ოთახიდან, რომელშიც ზებია ცხოვრობს,
ისმის სევდიანი ხმა ჩანგურისა.

ისმის და ეწნება ვანოს ქვითინში..

აწნება და ერთად დაქვითინებენ ატელიეში!!

სხივი იმედისა.

როიალთან ზის.
როალთან ზის. ის, ვინც სულის ქვითინს
ველარ გაუძლო და როალის ხმათა ძიგძიგში
უნდა იგი ჩააწნას.

ზის და ცრემლი დის.
იგი სევდაა.

სევდო!
სევდით ათამაშებს როალის კლავიშებზე
სათუთ გძელ თითებს, ათამაშებს და ტაცებს
როალს ჯადო ხმებს.

და ამ ჯადო ხმაში აქსოვს ნელ ქვითინს
და ცრემლით ფერავს!

და დაფარფატებენ ოთახიდან — ოთახში
მომთქმები ხმები.

დაფარფატებენ და ქვითინებენ..
წყდება ქვითინი..

წყდება მოთქმა როალისა..
მხოლოთ სუსტი აკორდი, ნელა გაითხილებს,
დაიკვნესებს უკანასკნელათ!

და ჩაკვდება..
სევდო ზეზე დგება.

ვანო ატელიესკენ მიდის. უახლოვდება
კარებს! უნდა შესვლა, მარა
კარებში შემდგება.

იგი თრთოლავს.
სევდო კრთის.

უნდა დაიძახოს.

იკივლოს.

მარა ქანდაკებათ იქცევა...

უცქერს იგი, მის ქანდაკებას ვანო შე-
მოხვევია.

უცქერს, როგორ კოცნის, ეალერსება.

სევდოს უნდა გაიქცეს, შეაჩეროს ვანო
და სინამდვილეზე მიუთითოს.

თრთოლავს სევდო.

ცრემლები, საღლაც გაუქრა.

ნეტავ, იგი ქანდაკებათ აქცია, ნეტავ!
მაშინ ხო ბედნიერი იქნება სევდო!

მაშინ ხო მისი ბაგენი იგძნობს—
უკვდა-
ვებას...

ფიქრობს:

ნეტავ, ის ქანდაკება იყოს!!

უცფ, სევდო შეეკრთება...

გაიღიმებს.

რალაც აზრი დაეხადება.

სხივი მომავალ ბედნიერების მის სულში
თამაშს დაიწყებს.

ღიმი ტუჩებს აებეკლება.

კარებს შორდება.

სხივი—იმედისა, მას—სულს უშუქებს!!

ქანდაკება ცოცხლდება.

წითელ თაღში ვახვეული სანთელი-წით-
ლად ანათებს.

მოწითალო სხივთა თაიგულნი იშლება
და ატელიეს ეპნევა.

წითლად თრთოლავს თელი ოთახი.

წითლად ამოქნარებს.

მოწითალო ლანდები კედლებს მიკვრიან.
და კანკალებენ.

ვილაც ნელა შემოდის.

ღიანდსა გავს მისი მოწითალო სილუეტი!
ჩერდება.

ყურს უგდებს.

ახლო ოთახიდან ჩონგურის ხმა ისმის.

სევდიანია მისი ხმა, სევდიანი, ვით თვით
მოწითალო სხივთა ნამცვენი, რომელნიც
ოთახის ყურეში დაფარულატებენ.

ვანო...

ვანო ყურს უგდებს.

შუბლზე გადისვამს სახოცს.

ამოიოხრებს.

და ვაიტაცებს ოხვრას—სწრაფი აკორდი
ჩანგურისა!

გულში ჩაიკრავს.

მიუალერსებს!!

ქაბუკი ნაბიჯს გადადგამს!

ქანდაკების წინ დაეშობა.

დაიჩოქებს.

დიღხანს არი!!

ლოცვილობს მისი სული ქანდაკების წინ.

ნელი ქვიჩინით გული მისი ლოცვა-
სათხზავს, ტუჩები-კი ნელა გამოთქმენ.

სალამოს ზღაპარს ქმნის მარად ქანდაკე-
ბასთან.

ზეზე დგება.

გძელ თითს გადაკრავს ქანდაკების თაღს.
ხარბათ შეეურებს.

ველარ გაუძღვებს.

და ძირს ეშვება.

კვლავ ფერხთ უკოცნის.

შემოეხვევა ქანდაკებას.

თრთის და კანკალებს.

ცხელ ცრემლში იწვის.

ღნება...

ხელებს შემოხვევს კისერზე.

გადაიწვევა.

ყელზე ჩამოეკიდება!!

თვალეში მიაშტერდება და გიყვივით წა-
მოიძახებს:

„ქანდაკებავ, ხელი მომხვიე!

„გადმოწიე, დამწვი შენი ამბორით!“

ყრუანტელი ტანს უვლის.

ვანო გძნობს: ვილაც ხელსა ხვევს.

ქანდაკება გადმოიწვევა და ტუჩებში კოც-
ნის...

ბრუ დაგხვევა.

გონს დაკარგავს!

ღონემიხთილი ძირს დაეშვება...

მარა მაინც გძნობს: ტკბილ, ცეცხლის
ალით დამწვარ ტუჩთა კოცნას...

დიღხანს არი გონდაკარგული.

უცფ, ზეზე წამოვარდება და დაიძახებს.

გაიხედავს ქანდაკებისკენ...

იგი არ არი... მხოლოდ გვერდით სევდო
უდგას.

— შენ, შენ გაცოცხლდი?
 — მე არ მომკვდარვარ! არი ხმა.
 — მაშ, ქანდაკება სად არის?
 — აი, შენი ქანდაკება და სევდო ყუ-
 რეში მიდგმულ ქანდაკებისკენ ხელსა გაიშვერს..
 მაშ, შენ ჩემი ქანდაკება არა ხარ?
 — გონს მოდი! მე შენი ვარ დასევდო მის
 წინ იჩოქებს...

— მე შენი ქანდაკება ვარ: ქანდაკება
 ცოცხალი, სინამდვილე, რომელსაც შეუძლია
 გაგძნობიოს.

ცეცხლი სიყვარულისა...
 ვანო კანკალებს...
 — არაოდეს... იძახის...

ქვითინებს-
 დაეშვება სავარძელზე...
 ღიმი შეუთამაშებს სევდოს ტუჩებზე...
 გადიკისკისებს.
 გადიკისკისებს და ოთახიდან გაფარდება.
 ვანო—კი ქვითინებს.
 მისი ქვითინი ჰოვნაა...
 მან იპოვა თვისი ზღაპარი, ზღაპარი ნამ-
 დვილ ცხოვრების.

იპოვა ზღაპარი, რომელიც ტბილი გა-
 მოდგა ყველა ზღაპრებზე...
 იპოვა და წარსულს ქვითინებს!
 წარსულს გლოვს...

ზღაპარი ქრება.

ქვითინებს ვანო.
 მისი ქვითინი დაფარფატებს მოწითალო
 ატელიეში.
 ისმის წელი ფეხის ხმა.
 შემოდის ბებია.
 მიუახლოვდება, თავზე ხელს დაადებს.
 ვანო შეკრთება.
 — რისთვის მოსულხარ, ბებია, სლოკი-
 ნით ეკითხება.

— მოვედ ზღაპარი გიამბო. რისთვის
 ქვითინებ, ისევ გიამბობ ზღპრებს!
 უცევ, გაისმის როიალის მხიარული ხმე-
 ბი. ცეკვით შემოიჭრებიან ოთახში—შემოიჭ-
 რებიან და ცეკვით ჩამოუვლიან.
 ვანო შეკრთება.

ქანდაკებისკენ გადიხედავს.
 იგი რაღაც ნაირათ იცქირება.
 თითქო ილიძება...
 თელ დარბაზს გულში ეკვრის მხიარული
 ხმები:
 იგი ჰიზნია ცხოვრების, იგი ქებაა სიკო-
 ცხლის.

საღაღაც ქრება სევდა.
 შუქდება თელი ოთახი...
 ისმის მხიარული ხმები!
 ვანო გძნობს, რომ ეს ხმები მას ცქახის.
 ზეზე დგება.
 სახე უბზუყინდება.
 ბებია მასთან მიდის:
 —დაჯე, ზღაპარს გიამბობ!
 ვანო გაილიძება.
 ბებიას გულში ჩაეკვრის.

უცევ, მოშორდება და გარეთ გარბის.
 —ბებია, მე აღარ მინდა ზღაპარი, მე
 ცხოვრების ზღაპარი მწყურია! კარებიდან
 დაიძახებს.

ღიმი გადაკრავს ბებიას..
 თავს გადააქნევს..
 მიაშტერდება სევდას ქანდაკებას..
 მივა, თაღს გადააფარებს;
 ბისი ფერხთით დაჯდება.
 და სიხარულის ცრემლებს გადმოყრის!!

ღია ჩიანელი.

(შემდეგა ქნება).

სატრფოს.

ძალა ბოროტი
 თავს დაგვხარხარებს,
 ურთერთ გვაშორებს
 და არ გვახარებს...

ოჰ, ხშირათ მესმის
 მე ეს ხარხარი:
 გესლით აღსავეს,
 მწარე, საზარი;
 კეთილის მტერი,
 ბოროტის ფარი,

სევდის მფრქვეველი,
მწუხრისა ხარი!

და გული კვნესის,
გული ღონდება;
სულს სევდა იპყრობს,
იმედი ქრება!

მარა, იმედო,
მომავონდები,
ვით ანგელოზი,
ჩემთან გაჩლები;

ბურუსს გაფანტავ,
აციმციმდები,
ვით განთიადის,
ოქროს სხივები...

მაშინ, ოჰ, მაშინ
გულს გარს ეღება
იმედის უცხლი,

ვით უკვდავება!

და კვლავ გძნობს სული,
რო სიყვარული,
წყვედიად—სიბნელით
გარემოცული,

იპოვის შუქსა,
იხილავს მზესა;
ლალათ ფთებს გაშლის...
შეწყდება კვნესა!...

და აჰ, მომადრენს
ოცნების ფთები!—
გზას ვერ შემიკრავს
ჯაკვ -- ბორკილ—მთები!...
... შენ გენაცვლები!!

ობოლი მუშა.

*
**

რათ გიკვირს, მეგობარო, რო შავი სევდა დაკვდომია ჩემს ტუჩებს?..

მაშ, რაეუყო, თუ-კი ჩემი ცხოვრება უფერული იყო და მტირალი, როგორც
მწუხრი შემოდგომისა.

რათ გიკვირს, ძვირფასო, რო ჩემი თვალები დახოცილი ყვავილებივით გა-
მოიყურებიან—იგინი ელოდენ, იგინი დიდხანს ელოდენ შენ მზიანობას და
დაქკენ უხილავნი...

რა გიკვირს, კეთილო, თუ ჩემი ჩათუთქული გული, სნეული გულიც-კი,
გაცვიფრებას გამოხატავს—იგი ეძიებდა, ახ, დიდხანს ეძიებდა სიყვარულის გასა-
ღებს და ვერა პოვა... ვერა პოვა ეამბა დასაწყისისას დაკარგული გასაღები...

რა გიკვირს, საესავო, რო დათაღხულია ოცნება ჩემი—იგი ასაფლავებს—
იგი ასაფლავებს თვისს ყრმობის სიზმრებს... ვანა არ გესმის გედის ყვილი?..

იგი ასაფლავებს, იგი გედის ქვითინით ასაფლავებს თვისს ყრმობის სიზმრებს...

ქ. ტარნოპოლი.

დ. თურდოხპირელი.

სევდიანი სტრიქონები!

I

ახალგაზდა, მარა მოხუცი გარემოებით,
ყავარჯენზე დაყრდნობილი გეძახი შენ...

სადა ხარ, სადა... რომელ მხარეში, რო-
მელ ქვეყანაში... მე მწირი, ხიზანი ვიქანცები
დაუსრულებელ ძიებაში და დაგეძებ შენ. სადა
ხარ, სადა? ქვეყანა ყრუთ ისმენს ჩემ ვედრე-
ბას. და არავინ მღებულობს ამ ღამეში. არა-
ვინ...

ფარული სევდით დატვირთული მივყვები,
შემოღამებით ნატეტკვ ბილიკებს.

და ვმღერი...

და ჩემ სიმღერებში გაქებ და გიგონებ,
შენ, ჩემ მულღვი თანამგზავრს.

სული ჩემი დაკვნესს ყოფნის იალქნების
ნაგლეჯებს.

და გეძახის შენ... სადა ხარ, სადა, ჩემო
სიყრმის მონათესავევ!

რომელ მხარეში, რომელ ქვეყანაში ხარ,
გამომგზავურე...

II

შემოდგომის პირათ, წყნარი ნიავე ათამაშებდა მიწაზე მოფანტულ ყვითელ ფოთლებს.

საბრალო ფოთლები! როგორ ესალმებიან წუთი—სოფელს. როგორ?!

მე მიყვარს ყვითელი ფოთლები. ისინი ჩემი სულის ნათესავეები არიან. და, ამიტომაც, დღეს მათ შორის, დიდხანს, სულ დიდხანს ვიხეტიალე...

სალამო ეამს—კი ნისლოვანი ფიქრებით დაებრუნდი სახლში და მეც, არ ვიცი, ვის იგონებდა, ან და ვის—ეტრფოდა სული ჩემი... ამ დროს—ვის?

გონება დაფანტულმა ხელების კანკალით შევალე ოთახის კარები. იქ სრული მყუდროება და სიბნელე სუფევდა.

არ მინდოდა სანთლის ანთება, საშინლათ მწყუროდა ამ ღამეს უსინათლოთ, სიბნელეში ყოფნა. მარა მე შემეშინა იმ ყრუ ხარხარის, რომელიც რაღაც საიდუმლოებით ისმოდა ჩემს ოთახში.

და ავანთე სანთელი. და ოხ, რომ იცოდეთ, რა ფერ—მიხთილი ვიყავი ამ დროს და რა საბრალო...

შემოდგომის მკრთალ ფოთლებზე უფრო მკრთალი ვიყავი ამ დროს მე. უფრო...

და ამ მიბნედილ ჩემ ლანდზე მწარეთ ავქვითინდი, მარა, ვის ესმოდა ქვითინი ჩემი. არავის?.. არავის?

III

მახსოვს...

ორივენი ვდუმდით და ამ დუმბილში იფარებოდა სიმწვავე საიდუმლო თქმათა.

ეამსა განშორებისას ვერც ერთი ვერ ვბედავდით დაგვერღვია მყუდროება.

და ვდუმდით ჩვენ...

ან რა საჭირო იყო ლაპრაკი. როდესაც დუმილითაც კარგათ ვამცნობდით ერთმანეთს ჩვენ—თავგადასავალს.

შვიდობით—.. ყრუთ გავიმეორეთ ორივემ, ხელი გავუწოდეთ ერთმანეთს და განვწორდით...

შენ მიდიოდი...

მე—კი ნისლოვანი ფიქრებით ვიდექ ერთ ღლაგას და თვალს არ ვაშორებდი შენ მიძვალ

ლანდს. ეჰ, ვინ იცის, ვინ, თუ რას გძნობდა, ამ დროს, შენი მეგობარი.

მე დიდ ხანს, სულ დიდხანს, გეძახოდი და გთხოვდი უკან დაბრუნებას, ხელებ გაწვდილი.

მარა შენ არ გესმოდა ძახილი ჩემი, შენ უკვე შორს იყავ ამ დროს ჩემგან, შორს. ამათ გიწვდიდი, მეგობარო, ხელებს. ამათ...

6. ზენობნიელი.

ძველი ამბავი.

მამა ჩემი იღვა ცალკე, ცალკე ვიდექ კიდევ მეცა, წინათ ლაღი ცხოვრების შნო სიღარიბეთ გადამექცა.

მას, თუ ქონდა, უღვევლი: პური, ღვინო, ღომი, ქერი, ჩემთვის სანატრელი იყო თავის სარჩო ყველაფერი.

თვის ულუფას არ კარგავდა, კვლავ მე მთხოვდა ულუფასა, მეც ყოველდღე მივართმევდი... თქმულა: ძალა აღმართს ხნავსა...

მამა ერთობ დიდკაცობდა, თავს არავის არ უკრავდა; მგზობლები აუხირდა, წაეკიდა, აუმყარადა.

შიწვდენ ყელში ერთმანეთსა, მოხდა ჯხუბი არაფერზე, სულ ცხვირპირი ჩამტვრიეს ერთმანეთსა ბძოლის ველზე.

მგზობლები წაეხმარა.

ზოგი იმას, ზოგი ამას, არ ზოგავდენ ერთმანეთსა: მამა შვილს და შვილი—მამას...

ერთმანეთის სახლი, კარი დააოხრეს, დაამტვრიეს; ძლივს დაზავდენ, როს ერთმანეთს სულ ცხვირპირი ჩამტვრიეს.

მამაჩემსა, ერთი ქვევრი ოქროებით ქონდა სავსე,

ეს სულ ყველა დაეხარჯა,
დაღარიბდა, დარჩა მშრალზე.

ბოლოს, შვილებს მოგვიბრუნდა,
ევითხრა: რაღას ახანებთო?
ჩემი ქვევრი, როგორც იყო,
ოქროებით აავსეთო...

ეს სულ ყველა უკულმართმა
მრჩეველებმა უყვეს მამას...
თორე, ის დღეს, შეიძლება,
არც მოწონს და ნანობსამას...

რას ვიზამდით, შევუდექით,
რომ აგვევსო ისევ ქვევრი...
ჩვენი ზურგით გვაზღვევიეს
ღანახარჯი ყველაფერი.

რ. საჯავახოელი.

ქვრივის სეგდა.

მათ ერთმანეთი უყვარდათ და ხშირათ
ზღვის პირათ ერთად მოსეირნე, ერთმანეთს
სიყვარულის ზღაპარს უამბობდენ.

დღესაც იგინი ზღვის პირათ სეირნობდენ
და სასიამოვნო განცთას ეძლეოდენ.

ზღვა ზანტათ ღელავდა და ფაფარ აყრი-
ლი ზვირთები სანაპიროებს ელოლიავებოდა.
თეთ-თეთრი ფრინველები აქა იქ ზღვაზე
დაფრინავდენ. ნავი-ნავს მიდევდა, რიგი მის-
რიალებდა ზღვის სივრცისკენ, რიგი ნაპირის-
კენ მოსრიალებდა. მანდილოსანი მიაკეკრდა
ზღვას და ჩაფიქრდა.

— რათ ჩაფიქრდი, ჩემო კეთილო? შე-
ეკითხა ვაჟი და იმანაც ზღვას გადახედა.

— იცი, მიუგო ქალმა, მე ზღვის ძირზე
მარგალიტების ძივი შეენიშნე და ის მომენატ-
რა. შენ, ჩემო კარგო, ის უნდა მომიტანო
და მით ჩემი ყელი უნდა შეამკო, უთხრა ქალ-
მა და გულმოდელილმა მას გულისთქმით სავ-
სე თვალებით გადახედა.

სიყვარულის აღმუროთ შეპყრობილს
ფიქრისთვის თავი აღარ მიუცია. მყი-
სვე შეეტურდა ზღვაში, ტალღებს შე-
ებძოლა იგი და დაიყურყუმაღავე...

რამდენიმე ხნის შემდეგ, ზღვის ტალ-
ღებმა ვაჟის გვამი ამოატივტივა და ნა-
პირზე გამოორიყა, რომელსაც ერთ ხელ-
ში მარგალიტის ძივი ეჭირა.

ქალმა იცნო ზღვის სხვერპლი, იის ფერი
თვალეზიდან ნაკადული წასკდა, იქვე ცხედრის
წინ დაიჩოქა და მწარეთ აქვითინდა...

მოსეირნე ხალხმა იგი შენიშნა, თავი მოიყარა,
გაოცებული ვაჟის გვამს მიჩერებოდა და მის
ვინაობას კითხულობდა, და სევდით შეპყრობილ
ქალს თანაგძნობით შეყურებდა.

ერთი იქვე მდგომი ცირა ცნობის მოყვარე-
ბამ გაიტაცა და შეეკითხა:

— ვინ არის ეს ვაჟი?

ქალი წამოდგა, ცრემლი შეიმშრალა, თმე-
ბი შეისწორა და დაღონებით უპასუხა:

— ქმარი გახლდათ.

— რათ დაიხჩო?

— ვუყვარდი და ჩემი სიყვარულის და-
საკმაყოფილებლათ ზღვის ძირს ეს განძი მო-
ტაცა. აქ მან მარგალიტის ძივი უჩვენა ცირას,
და ჩემკენ მომკურავი უღმობელმა ტალღებ-
მა ზვარაკათ შეიწირეს ჩემი ღვთაება.

— საცოდავი ყოფილხარ, დიო, მიუგო
ცირამ.

— ე-ეხ! გულის სატრფო, რომ არ
მყავდეს საძებარი, მაშინ საცოდავი არ ვიქნები—
ნაღვლიანათ მიუგო ქვრივმა და ღრმა მწუხა-
რებით ხალხს გადახედა.

ვასო ჭითავა.

ბიბლიოგრაფია.

ახალი კალენდარი.

სახალხო კალენდარი 1917 წლის. შედგენი-
ლი და გამოცემული მ. გაჩეილაძის მიერ. თბი-
ლისი. ელექტრო-შეკვდ. „სორაზანი“.

ბ ნ ი მ. გაჩეილაძე, კაი ხანია, რაც ყო-
ველ წლოვით ბეჭდავს კალენდრებსა და ავრ-
ცელებს ხალხში. მარა ვერ ვიტყვით, რო
წრევანდელ კალენდარს რამე მეტი დამუშავე-
ბა და მეტი დაკვირვებით შედგენა ეტყობო-
დეს. ის-კი არა, შარშანდელ მის მიერვე შედ-

გენილ კალენდარს, რომ შევადაროთ, წრევანდელი კალენდარი, უფრო მეტი საკალენდარო ცნობები, ისევ შარშანდელ კალენდარში მოიპოვება. შარშანდელ კალენდარში იყო სხვა და სხვა წონა, ზომა და საწყაოზე საქართველოში და რუსეთშიც. ცნობები იყო უცხო ქვეყნების ფულზე და ამ ფულების შედარება რუსულ ფულებთან. ესეთი ცნობები წრევანდელ კალენდარში სულ არ არი. საზოგადოთ, წმინდა საკალენდარო ცნობებით, როგორც შარშანდელი, ისე წრევანდელი კალენდარი ბ-ნ მ. გაჩეჩილაძისა ძალიან ღარიბია.

ერთი სოფელი, კალენდრის მყიდველი მეუბნებოდა: მდივანოვის კალენდარი გაცილებით უკეთესი იყო. იქ იპოვნით ცნობებს ფოსტაზე, დეპეშაზე, ნოტარიუსებისა და სამსახულო ბოქაულების შესახებო და სხ., რის შესახებ არაფერი არ არი ნათქვამი ბ. მ. გაჩეჩილაძის კალენდარშიო.

ამას გარდა, სოფლის მკითხველს ხშირათ ესაქიროება არა მარტო მდგომარე წლის მოძრავი დღესასწაულები წინა, ან შემდეგ წლებში, რომელ თვესა და რიცხვს მოხვდა, ან მოხდება.

აი, მაგალ., შარშან, რომელ დღეს იყო შობა, ან მერმისს, რომელ თვეს და რიცხვს მოხვდება აღდგომა. ასეთი ცნობები, რაც ძლიერ ესაქიროება სოფლელებს, ბ-ნ გაჩეჩილაძის არც შარშანდელ და არც წრევანდელ კალენდრებში მოიპოვება მაშინ, როდესაც მდივანოვის კალენდარი ასეთ ცნობებს იძლეოდა.

რაც შეეხება ლიტერატურულ-მეცნიერულ განყოფილებას, ეს განყოფილებაც მოიკოჭლებს.

საყურათღებოა ი. გომაროელის სტატია სნება და ქიმიკოს კ. მოდებაძის წერილი — შეღწეობაზე.

საერთაშორისო ომის შესახებ, გაკვრითაც არ არი რამე ნათქვამი და ვერც ლიტერატურული ღირსების მქონებელი ლექსებია დაბეჭდილი კალენდარში. სამაგიეროთ, როგორც შარშანდელს, ისე წრევანდელს კალენდარში, სიზმრის ახსნას დიდი ადგილი უკავია...

ქალაქში მცხოვრებ საკმაოთ განათლებულ

პირთათვის კალენდარს, თითქმის არაფერი მნიშვნელობაც არა აქვს. მარა სულ სხვა სოფლელი მკირე ნასწავლი, ან მარტო წერა-კითხვის მკოდნე ხალხი. ასეთ პირთათვის რიგიანათ შედგენილ და შემუშავებულ კალენდარს დიდი მნიშვნელობა აქვს.

კარგი ქართული კალენდარი, გარდა ამისა, ცოტათ, თუ ბევრათ ხელს უწყობს ხოლომე ლიტერატურულ ნაწარმოებთა გავრცელებასაც. ამიტომ საჭიროთ მიგვაჩნია, რიგიანათ შედგენილი კალენდარი ვრცელდებოდეს ხალხში. ამიტომაც, სასურველია პატ. მ. გაჩეჩილაძემ შემდეგ წლებში გააუმჯობესოს თვისი კალენდარი. ფასი კალენდრისა ქარტით 30 კაპეიკი, ამ სიძვირის დროს, მეტათ ვერ ჩაითვლება.

ამავე ავტორსა და გრ. ჩარკვიანს შეუდგენიათ 1917 წლის კედლის კალენდარი, რომელიც, შედარებით, უკეთ არი შედგენილი. საზოგადოთ სასურველია, რომ კალენდრები იმავე ფასებში იყიდებოდეს, რა ფასებშიაც ყოლიან რუსულ კალენდრებს.

ბ. კ — ა.

აპხდ. ნ. მარი და შოთა რუსთველი.

ბ ნ ი ნ. მარი ძალიან გატაცებულია ანისის არქიტექტურით... ამიტო, მისდა სასიამოვნოთ, ამ წერილს საარქიტექტურო მოსაზრებით ვიწყებ.

ჰაინე ამბობდა: სულ ერთია, საიდან ავიღებ მასალას, ოლონდ თვით შენობა შევნიერი გამოვიდესო. მართლაც და, დიდებული პოეტი ძალიან ლიბერალურათ ეპყრობოდა ამ მასალას და სოფლიო ლიტერატურის საღაროდან ხშირათ გამოქონდა დამთავრებული სვეტი, მხატვრული კაპიტელი, ჩუქურთმიანი თალები... და ამისანა მასალაზე აკებდა თვისს საუცხოო შენობებს...

ბ. მარი დიდი მეცნიერია. მარა დიდი იგი მხოლოთ თავის დარგში; როგორც ორიენტალისტი, ფილოლოგი და ისტორიკოსი, იგი დიდი ყურათღების ღირსია. მარა ნურას უკაცრავათ, თუ წინააღმდეგობა გავუწიოთ, როცა თავისს სფეროს ტოვებს და გადადის

სულ სხვა, მისთვის უცნობ სფეროში. ასეთია, სხვათა შორის, უფლება და პოლიტიკა, ლიტერატურა და ხელოვნება.

ბ. მარს ადვილათ შეუძლია გამოიკვლიოს ყოველი სიტყვა, მისი ძირი, მისი წარმოშობა, მისი გავითარება და გადასხვაფერება... ეს ძალიან საინტერესოა. მარა ამ გზით ვერაოდეს დააფასებთ რუსთველს.

შარშან გამოვთქვი ის აზრი, რომ რუსთველის დანახვა და დაფასება შეუძლებელია, თუ წინასწარ არ ავედით ისეთ მწვერვალოზე, საიდანაც ადვილი დასანახი იქნება თელი კაცობრიობის იდეური ევოლუცია: ასეთია იდეა თავისუფლებისა და სოფლიო ძმობისა, საიდანაც აშკარათ მოჩანან სხვა საჭირო მწვერვალონიც: ა) ადამიანი და არა ეროვნება; ბ) რწმენა, როგორც სულიერი განცთა, და არა კულტი, როგორც გარეგნული გამოხატულება სჯულისა; გ) სიყვარული, როგორც სოფლიო სული. მე ვაპობდი, რომ ეს არი ძირითადი, იდეური შინაარსი „ვეფხის ტყაოსნისა“, და მხოლოდ ამ მწვერვალოებიდან ადვილათ დაინახავთ თვით რუსთველს, ადვილათ გაიგებთ მას, ადვილათ შენიშნავთ, თუ სადმე მოიპოება რაიმე შერყენილი ადგილები მის ნაწარმოებში-მეთქი.

ეს ჩემი აზრი ბ. მარიმ მხოლოდ გაკვრით მოიხსენია, არ მიცა მას შესაფერი გავითარება, გაყვა ისევ საფილოლოლიო წვრილმანობას და, ბოლოს, თავის ლექციით ისეთი ატმოსფერა შექნა, რომ რუსთველი თითქმის გაქრა, როგორც ქართველი გენიოსი, გაქრა, როგორც დადი შემოქმედი ძალა, შემთხვევლი საქართველოს ეროვნულის ციტადელისა. თავი და თავი, თურმე, ეს შემოქმედება-კი არ არი. თავი და თავი, თურმე, ყოფილა ის უმნიშვნელო და საცოდავი მასალა, რომელიც რუსთველს ვითომდა გამოუტანია სომხეთის კულტურისგან. შეიძლება, მართლა, რუსთველს თვისის დიდებული შენობის ასაგებათ გამოეტანოს ანისიდან—ორი სამი ფუთი გაჯი და არეზადან ორი-სამი კოკა წყალი. შეიძლება, რუსთველს ქონდეს ნახმარი ორი-სამი სომხური სიტყვა, ორი სამი არმენიზმი; მარა ნუ თუ ეს შესანიშნავი და გასაკვირველი მოვლინება, რომ სწორეთ ეგ ჩილიავედა ყველა-

ფერს?! დგას ბ. მარი უშველებელ და შევნიერ ციტადელს ქვეშ, დაუჭერია საფილოლოლიო ჯაყვა, ფხაჭნის იმით ქვითკირს და გაიხახის: აი, ამ კუთხეში, უსათუოდ, სომხური გაჯიაო! დეე, იყოს სომხური გაჯი,—მარა, რა უმწეო უნდა იყოს თვით კრიტიკოსი, ან მკვლევარი, რომლის ესთეტიური შეგნება და იდეური განიერება ამ ნაფხვენის ყურებით იზღუდება? რას იტყოდა ბ. მარი, რომ პოემაში აღმოეჩინა ჰაინესებური კაპიტელი და თაღები?! თუ რუსთველმა გამოიტანა გაჯი და სხვა ამისანა საცოდავი მასალი (სიტყვა და კილოკავები) სომხურ კულტურისგან, ნეტა, რატომ უფრო ძვირფას მასალას არ მოაველო ხელი? რა უჭირდა, რომ ჰაინესებ გამოეტანა თლილი ქვები, ჩუქურთმიანი თაღები, ხუჭუჭა კაპიტელები? ჩანს, რომ არც ერთი, არც მეორე, არც მესამე მაშინ სომხეთში არ მოიპოებოდა... მაშასადამე, მაშინდელ სომხეთის კულტურის შესახებ, ქართულ კულტურასთან შედარებით, ლაპარაკი, რომ მეტი არა ვთქვათ, უნიადაგოთ მიგვაჩნია. სომხურ სიტყვებს და ვითომდა პოემაში გაფანტულ არმენიზმებს არავითარი მნიშვნელობა აქვს დიად რუსთველის თხზულებისთვის. აქ კულტურულ გავლენაზე ლაპარაკი სრულებით უადგილოა და... სასაცილოც თავის ლოგიკურ სისუსტით.

მარა ჩვენს აკადემიკოსს არა მარტო ლოგიკა, მეხსიერებაც-კი უნდა დალატობდეს.

„მე ამ 25 წლის წინათ ვთქვიო,—ამბობს ბ-ნი მარი,—რომ ქართული ლიტერატურა სპარსულ ლიტერატურის გავლენის ქვეშ იყო; ეს ბევრს არ მოეწონა და მე დამგმეს; ახლა ქართველებიც გაიზარდენ და უფრო მშვიდობიანათ მსჯელობენ სამეცნიერო საგანზეო“... არა, ბატონო, ცდებით.

ამ 25 წელს წინათ თქვენ გამოაცხადეთ: ბრიტანიის მუზეუმში აღმოვაჩინე „ვეფხის ტყაოსნის“ სპარსული ორიგინალიო. ამ „აღმოჩენამ“ ყველა გააცვიფრა და ყველა მოუთმენლად ელოდა დაწვრილებით ცნობას ამ „აღმოჩენის“ შესახებ, ელოდა დიდხანს და, ბოლოს, ეს თქვენი „აღმოჩენა“ ცოცხალი სიტრუმ აღმოჩნდა! ეს ერთი.

გავიდა ათი ორმეტი წელიწადი და ამ

სიცრუის ჩასაფურჩხებლათ თქვენ გამოაცხადეთ, რო „ვეფხისტყაოსანის“, ორიგინალი ახლა დაკარგულიაო. მარა თავის დროზე სპარსეთში, უქვევლათ, იქნებოდაო... ეს მეორე...

გავიდა კიდევ ათი-თორმეტი წელიწადი და ახლა თქვენა ბძანებთ, რო სპარსულ ლიტერატურას ქართულზე ზედგავლენა ქონდაო, ე. ი., გამოთქვამთ ისეთ ტრივიალურ აზრს, რომლის წინააღმდეგ არავინ ყოფილა და არც იქნება. ამნაირათ, ამ 25 წლის გამალობაში ქართველი საზოგადოება-კი არ გაიზარდა ბ. მარის სიბძნის მისაწდომათ. არა, თვით ბ. მამარი გაიზარდა და შეიგნო, რო

„სიცრუე და ორპირობა აენებს ხორცსა, მერე, სულსა“.

მარა შეიგნო—კი? არა მგონია. ევოლუცია იმისი შეხედულებისა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, ჯერ კიდევ საკმაო ბუნდოვანია მისი „სპარსულ ლიტერატურის ზე-გავლენა“, რომელ ზე-გავლენაზე ლაპარაკობს ბ-ნი მარი? თუ ლაპარაკი ისეთ ზე-გავლენაზეა, რომელიც მხოლოდ მასალას აძლევს, ან გარეგნულ ფერადობას (და არა იდეურ შინაარსსა და მხატვრობით მიწვდენას), მაშინ სხვაა; ასეთი ზე-გავლენა მართლა იყო და უნდა ყოფილიყო კიდევ. ეს არამც თუ ამცირებს რუსთველს, პირიქით, რუსთველი რუსთველც არ იქნებოდა, რო თავის გონების ფოკუსში ერთად არ შემოგჭრიტა ყოველი შუქი მაშინდელ კულტურულ მოძრაობისა. ხოლო, თუ ბ-ნი მარი ლაპარაკობს იმ ზე-გავლენაზე, რომელიც სპობს რუსთველის ორიგინალობას და გენიოსობას, იმედი უნდა ვიქონიოთ, რო მისი შეხედულების ევოლუცია ჯერ არ დამთავრებულა... თფილისში ახლახან გარდაიცვალა ერთი პატივცემული მანდილხანანი; შესანიშნავი იყო იმით, რო თელ თავის სიცოცხლეში დევნიდა თავის ოჯახიდან ქართულენასქართული ეზიზღებოდა, ალბათ, ეგონა, რომ ამაში გამოიხატებოდა დიდი არისტოკრატიზმი. წარმოიდგინეთ, ამ პატივცემულ ადამიანს, თურმე, სიკვდილის წინათ დაუწყევია ქართულათ ლოცვა,—

„სიკვდილის წინათ, ამბობენ, აქი-ჩი-ბობა გიდიო“...

ბ. მარი ჯერ სიკვდილისგან ღმერთმა დაიფაროს, მარა ნუთუ სიკვდილი უნდა მოგვიადგეს კარზე, აღვიართო ქეშმარიტება?!

ასე საცოდავათ ჩაიფუშა ჩვენი აკადემიკოსის ცაა, ჩვენის ერუვნულის ციტადელის დასანგრევათ მიმართული. — ასეც უნდა მომხდარიყო. აბა, რაღა ციტადელია ის ციტადელი, თუ მის დანგრევას შეიძლებს ერთი, ან ორი მეცნიერი, ერთი, ან ორი საუკუნე! უკვე რვა საუკუნე მაინც გავიდა და ჯერ რუსთვეის შენობა მცირედაც არ გაზარულა; მეცნიერი ჯერ ერთად-ერთი ბ-ნი მარია, რომელიც დღესაც ცთილობს ამ შენობას რამე დააკლოს. თორე, თქვენ თვით გაშინჯეთ.

პირველათ, ბ-ნი მარი სარგებლობს ორ სიტყვის შემთხვევითის ერთხმოვანებით, — ეს სიტყვებია — მესხი და სომეხი. ემყარება ამ მეცნიერულ საფუძველს და კომიკურ თავ-მომწონობით ამტკიცებს მესხების და სომეხების ახლო ნათესავობას. რუსთველი-კი მესხი იყო. რასაკვირველია, ბ-ნი მარი ამისანა მეცნიერულ უცნაურობას სიფთხილით ეპყრობა და პირდაპირ ვერა ბედავს, რუსთველიც სომხათ გამოაცხადოს, ან როგორ გაბედავდა? მაშინ ჭო ყვავლა შეეკითხებოდა: თუ რუსთველი სომეხია, როგორ მოხდა და როგორ დაიწყო მან ქართულათ წერა? როგორ მიატოვა თვისი კულტურული სამშობლო, თვისი კულტურული ენა და როგორ გადაფიდა ქართველობაზე?! თუ სომეხი იყო და ქართულათ დაიწყო წერა, ჩანს, საქართველოში ყოფილა კულტურული კერა, და ისე ძლიერიც, რო თვით გენიოსი სომეხი გარდაუქმნია ქართველათ... ერთი სიტყვით, იმ დასკვნამდი მივალთ, რომლის თქმა სრულებით სახეში არ ექნებოდა ბ—ნი მარს.

არა. ის ამბობს მხოლოდ, რო მესხები ერთ დროს ლაპარაკობდენ სომხურთან მონათესავე ენაზე; სამხრეთ მესხეთი, მერე, თანდათან გაითქვიფა სომხობაში, და შეუერთდა სომხეთსა, ხოლო ჩდილო მესხეთი — საქართველოსო. — ჩვენ ძალიან კარგათ ვიცით, რო მესხეთი არც ისტორიულათ, არც ეთნოგრაფიულათ, არც გეოგრაფიულათ სომხეთს არ ეკუთვნოდა; მესხეთი სხვაა, სომხეთი სულ სხვაა

—და იმიტო სრულებით გაუგებარია, რისი თქმა უნდოდა პატივცემულ აკადემიკოსს?

მესხები სომხურთან მონათესავე ენაზე ლაპარაკობდნენო,—მერე?.. ერთი ნაწილი გაითქვიფა სომხობაშიო, მერე?.. მესხეთი სომხეთის საზღვარზე დევსო,—მერე?.. რაღა, მერედუმს აკადემიკოსი. მარა მისი დუმილი და სახის შემტოდე გამომეტყველება ცხადათ ამახელს მის გულის წადილს: იგი ებღაუჭება რუსთველს, ცთილობს როგორმე შეითრიოს იგი სომხეთის ისტორიის ფარგლებში, ლამის ქულაჯა ჩამოახიოს...

საზოგადოთ, სიტყვების ერთხმოვნებას ბ-ნი მარე დიდ მეცნიერულ მნიშვნელობას აძლევს. „მესხი“ „სომეხს“ აგონებს, „შოთა“ სომხურ სახელს „აშოტსა“, თუმცა თვითვე ამბობს, რომ „აშოტი“ სომხური სახელია, თუ არა—ღმერთმა იცისო. თუ ეს მეცნიერული მეთოდია, დიდი სიამოვნებით მიგწმეველები სახელგათქმულ პიროფესორს. აი, მაგალითად, ჩემი აზრით, სომეხი წარმოდგება „მეხისგან“, —აშკარაა, ერთ დროს სომხეთის კულტურა გრგვინავდა, როგორც მესი; სამოვარი კი ქართველების გამოგონილი უნდა იყოს: როცა პირველათ აღუდდა და ჩუხჩუხი დაიწყო, თითქო იძახდა „სამო ვარ, სამო ვარო! აქილან—სამოვარი.

ეგ იქნება მეცნიერება?!

მერე რა, რომ ანისის „ბჰენი კულტუროსანი“ ძალიან ვიწრო და საცოდავი აღმოჩნდა, ბ-ნ მარმა რუსთველი გამოაცხადა... მაშნადიანათ! არსებითად ამ ახალ „აღმოჩენაში“ საწყენი და სათაკილო არაფერია. იყვენ და არიან საქართველოში მართლმადიდებელნი, კათოლიკენი, მამადიანნი, ებრაელები, გრიგორიანნი და, შეიძლება, სხვანიც. შეიძლება, რუსთველიც მამადიანი იყო. მარა, როდესაც მეცნიერი ბძანებს, რუსთველი, აუცილებლათ, მამადიანი იყოო, იმან შესაფერი საბუთებიც უნდა წარმოადგინოს. ბ-ნ მარს-კი საბუთი არაფითარი მოყავს, თვინიერ ერთ-ორი მკვლე მოსაზრებისა.

ერთი—შოთა დიდი პატივისცემით ეპყრობა ისლამსო—მერე, რა? ვანა ქრისტიანისთვის სავალდებულოა ლანძღვა-გინება? ნუ თუ ქრის-

ტიანს არ შეუძლია პატივისცემით მოიხსენოს ისლამი?! მეორე—შოთა ძალიან ნაკლებათ ხმარობს საღმრთო წერილის ტექსტებსო; სულ არ იხსენიებს სამებას, ქრისტეს, წმიდანებსო“...

ჯერ ერთი,—რომელი ხელოვნების თეორია, რომელი მხატვრობითი აუცილებლობა მოითხოვს, თუ ღმერთი გწამს, სამებისა და წმიდანების მოხსენებას ხელოვნურ თხზულებაში?! საიდან შეიძინა ასეთი სიბძნე ბ-ნმა აკადემიკოსმა?!—მერე? ვთქვათ, წმიდანებს არ იხსენებს,—მაშასადამე (?) მამადიანია?! სად არის აქ ლოგიკა? ნუ თუ ბ-ნ მარსა გონია, რომ საქართველოს ინტელიგენცია იმდენათ მოუმზადებელია, რომ არც აცივოს, არც აცხელოს, ისე მოისმინოს და ქეშმარიტებათ ჩათვალოს ყოველი უაზრობა, რაც-კი თავში მოუვა-თუნდაც აკადემიკოსს? ბ-ნი მარის შეხედულებით, შოთა რუსთველს, უსათუოდ, უნდა მოეხსენებია, წმიდა გიორგი, ან ნიკოლა-ჩულოტვორცი...
ჩემი შეხედულება (თუ ეს გაინტერესებთ თქვენ, ჩემო მკითხველო), მე უკვე გამოვთქვი. იქ, სადაც ქრისტიანობის ფილოსოფია ეთანხმება პოეტის სოფლმხედველობას, მას, მართლაც, მოყავს, ან იხსენებს მოციქულებს:

„წაგიკითხავ, სიყვარულსო,

„მოციქულნი რა გვარ წერენ...“

რუსთველის გასაგებათ და დასაფასებლათ, აუცილებლათ, საჭიროა ის ფილოსოფიური მწერვალო, რომელზეც ადრე მკონდა ლაპარაკი და საიდანც აშკარათ დაინახავთ მის ლოგიკურ მეტ-ნაკლებობას და ხელოვნურ სისრულეს. აშკარათ დაინახავთ, რომ სამება, ხატი, წმიდა გიორგი, აუცილებლათ, დაარღვევდა მის სოფლიო ქვერმეტყველობას. რწმენა, როგორც სულიერი განცთა და არა კულტი, როგორც განსახიერება სარწმუნოებისა, აი, ხელსამძღვანელო იდენა, რომელიც საჭიროა სახეში გკონდეთ, თუ ვნებავთ, მიწვდეთ რუსთველს. აი, სწორეთ ამიტომ რუსთველი ამბობს ავთანდილზე: „ილოცავს, იტყვის...“ მარა იმაზე-კი არაფერს ამბობს, თუ სად ლოცულობდა ავთანდილი—ჯამეში, სინაგოგაში, თუ ეკლესიაში. ტარიელი ფიცულობს საღმრთო წიგნზე, მარა პოეტი არაფერს ამბობს იმაზე, თუ რო-

მელი საღმრთო წიგნია იგი — სახარება, ყურანი, ტალმუდი, თუ სხვა რამე. ნუთუ აშკარა არ არი, რომ რუსთველისთვის საინტერესოა მხოლოდ ლოცვა, მხოლოდ ფიცი, და არა ის გარეგნული აკცესუარი, რომელიც საკიროთ მიაჩნია სხვა და სხვა რელიგიურ კულტს?!

* *

მაშ, რა ამბავია? ბნი მარი, რაც გინდა იყოს, მაინც აკადემიკოსია, და დიდად საინტერესოა არა მარტო ანიშვნა მისი ლოგიკურ ნახტომისა, არამედ გამოაშკარავებაც იმ დამალულ მოტივებისა, რომელმაც აურია ასე გზა და კვალი სახელოვან ორიენტალისტს.

მოგეხსენებათ, თამარ-მეფის ხანა ბწყინვალე ხანაა საქართველოს ისტორიაში. ამ ხანის სხივონობამ, თითქმის სრულებით ჩანთქა უფრო შორი წარსული ჩვენი ცხოვრებისა, ჩანთქა აგრეთვე შემდეგი საუკუნეებიც. ბევრი ყავდა საქართველოს გმირები და გენიოსები. მარა თამარის მხეობამ ჩანთქა და დამალა უთვალავი ვარსკვლავები, საქართველოს კამარაზე ვაფანტული... მართლა, რა შვენიერი და მომხიბვლელი სურათია: ვრცელი და დიდებით შემკული სახელმწიფო, დედოფალი-ოცნება ტახტზე, პოეტი-გენიოსი გვერდით... ვისა აქვს, რომელ ერს ასეთი წარსული?... ნაზი ტალღები უკვდავი სიმფონიისა ავსებს წარსულ საუკუნეებს და მიღელავს ნათელ მომავლისკენ, — ვისა აქვს, რომელ ერს ასეთი უშრობი წყარო სიცოცხლისა და შემოქმედობისა?!

აი, სწორედ ეს გარემოება მოსვენებას არ აძლევს ჩვენ მტერ მოყვარეებს. ყველამ შეიგნო ახლა, რომ ეს დიდებული წარსული არამც თუ მარტო წარსულია. არა. იგი დღეინდელი რეალობაა, დღეინდელი რეალი სოციოლოგიური ძალა: იგი ასულდგმულებს, თხზავს და ამოქმედებს ჩვენს ეროვნულს ენერჯიას... აქიდან თქვენ ნათლად წარმოიდგენთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენში მტერმოყვარეებისთვის ამ ზნეობის ჩაბნელებას, ამ ენერჯიის ჩაქრობას.

ბნი მარმაც რუსთველი გამოაცხადა მამადიანათ. მართლა, ეს აზრი არაფრითაა დასაბუთებული და დამტკიცებული, გარნა ეს წვრი-

ლმანია! — თავი და თავი ის არი, რომ ეს აზრი თამარ-მეფის და რუსთველის გამთიშველი აზრია და ამიტომ დიდად ხელსაყრელი. რუსთველი — მამადიანია... თვით ბ. მარი ამბობს, რომ ეს შეუძლებელი იქნებოდა თამარის დროსო: სახელმწიფო, ისე დიადი და ბწყინვალე იყო, ისე განმტკიცებული ქრისტიანულ კულტურის ნიადაგზე, რომ მაშინ რუსთველის მამადიანობა წარმოუდგენელიაო. ამიტომ, — აი, ლოგიკური დასკვნაც, — ამიტომ, რუსთველი, უეჭველათ, ცხოვრობდა მე XIV — XV საუკუნეშიო, როცა აყვავდა ანისის კულტურაო... (ხედავთ, სად მარხია ძაღლის თავი?!)

ბნი მარის ლოგიკით გამოდის, რომ თავისუფალი და განათლებული სახელმწიფო ხელს არ უწყობს გენიოსის გაჩენას, რომ განმტკიცებული ქრისტიანული გაჩენის და გავითარების შემხუთველი პირობაა, რომ რუსთველი უნდა დაბადებულიყო ისეთ დროს, როცა მამადიანობა შემოიქრა საქართველოში და მისი თავისუფალი სახელმწიფოებრიობა დარღვეული და სულ შეხუთული იყო... მივატოვოთ ეს. დეე, ბნიმა მარმა წეროს და ილაპარაკოს, რაც უნდა და როგორც უნდა.

როდის ცხოვრობდა, მართლა, შოთა რუსთველი? როდის იყო დაწერილი „ვეფხისტყაოსანი?“ ნუთუ მე-XIV, ან მე-XV საუკუნეში?

ჩვენ ეს ძალიან კარგათ ვიცით, ჩემო მკითხველო. მარა, რათგან სიტყვამ მოიტანა, მოვიტანოთ აქ ერთი-ორი მოსაზრება. აი, რას ამბობს თვით ძვირფასი შოთა:

„ვის შვენის ლომსა ხმარება
შუბისა, ფარ-შიმშერისა,
მეფისი, მზის თამარისა,
ლაწვ-მადახშ თმა-გიშერისა, —
მას, არა ვიცი, შევეკადრო
მესხმა ხოტბისა ხშირისა!..“

„თამარს ვაქებდეთ, მეფესა...“

„მიბძანეს მათდა საქებრათ
„თქმა ლექსებისა ტკბილისა...“

ვის მორჩილობს ჯარი სპათა,

მისთვის ვხელობ, მისთვის მკვლარი.

ქართველთა ღვთისა დავითის,
ვის მზე მსახურებს სარებლად,
ესე ამბავი გავლექსევე
მე მათად საკამათებოად,
ვინ არის აღმოსავლეთით
დასავლეთ ხართა მარებლად...

ასე ამბობს თვით რუსთველი და ქარ-
თველი ერთი იყო და არი დარწმუნებული,
რო პოეტი ამბობს სიმართლეს, იგი, ლალი
პოეტი, იტაცებული და დამტკბარი თამარის
შეწევებით.

მარა, იქნება, ეს ლექსები ყალბი ადგი-
ლი იყოს პოემისა?! არა, ნუ გჯერათ. „ვე-
ფხის ტყაოსნის“ წინასიტყვაობა და ბოლო-
სიტყვაობა ორგანიულათ შეკავშირებულია
თელ პოემასთან: პირველი — უვერტურაა, მე-
ორე — უკანასკნელი აკორდი დიდებულ სიმ-
ფონიისა; პირველი აუცილებელი შესავალია
(entree) დიდებული შენობისა, რომლის ხე-
ლოვნურ გუმბათს შეადგენს ლომ-ვეფხის ბძო-
ლა პოემის შვა ნაწილში, — სწორეთ ის აღ-
გილი, რომელიც ვილაცამ აგრეთვე ყალბათ
გამოაცხადა.

ამ ნაირათ, ზოგმა გულუმბრყვილო, ზო-
გმა — წინასწარ შეცნობილი განზრახვით, რუს-
თველის დიდებულ შენობას დაურთეს შესა-
ვალი, მოგლიჯეს გუმბათი და დატოვეს გა-
შვლებილი კედლები. მართალია, კედლებიც
სავსეა გასაოცარი მხატვრობით დასილამაზით,
მარა, რა გონებრივთ ლატაკი და ესთეტიურ
სიტლანქის პატრონი უნდა იყოს ადამიანი,
რომ ასე ვანდალურათ მოექცეს შენობას!?

არა. „ვეფხის ტყაოსნის“ შესავალი არ არი
ყალბი. იქ გამოთქმული აზრი და გძნობა,
გასაკუთრებით, რუსთველურია, მოურღვეველი
ნაწილია შევნიერის არქიტექტურისა... და
თვით რუსთველის სიტყვა და მოწმობა მანვე,
თუ როდის ცხოვრობდა იგი, ჩვენთვის უფრო
დასაჯერია და სარწმუნო, ვიდრე ოციათას
მარის მიერ წარსულის სიბნელეში ხელის ფა-
თური...

არა კმარა ეგ მოსაზრება? კარგი, — იმ მე-
ორეც, რომელიც, ჩემი აზრით, სრულებით
აქარწყლებს ბ-ნ მარის იერაშებს.

როდის იყო გამოგონილი ცეცხლით
მსროლელი იარაღი — თოფი?

როგორც ვიცით, რუსთველი, თითქმის
ყოველ ნაბიჯზე აგვიწერს ნადირობას, ომს,
ბძოლას, სხვა და სხვა შეტაკებას, ხან კაცთან,
ხან მხეტთან. თუ თოფსა ხმარობდენ, როცა
ცხოვრობდა რუსთველი, შეუძლებელია წარ-
მოვიდგინოთ, რო პოემაში სადმე ეს იარაღი
მოხსენებული არ იყოს. როგორც ვიცით,
რუსთველს ერთი სიტყვიც არ უხსენებია
თოფი, მას თოფზე წარმოდგენაც არა აქვს.

მეცნიებას გამოკვლეული აქვს, რომ თო-
ფი გამოიგონეს არაბებმა, მეცამეტე საუკუნის
დასაწყისში. თამარ-მეფე-კი გარდაიცვალა აგ-
რეთვე მეცამეტე საუკუნის დასაწყისში — 1213
წელს. მერე, თოფის ხმარება თან და თან
გავრცელდა მცირე აზიაში და კავკასიაშიც.
1241 წელს ლიგნიცის ბძოლაში (ავსტრიაში)
უკვე მოქმედობს თელი არტილერია. თუ მე-
ცამეტე საუკუნის დასაწყისში გამოგონილი
თოფი, ისე გავითარდა, რომ, არტილერიაც
შეუქნიათ და ევროპაშიც გადასულა მეცამე-
ტე საუკუნის პირველ ნახევარშივე, აშკარაა,
საქართველოში ეს იარაღი უფრო ადრე შე-
მოვიდოდა და უფრო ადრე გავრცელდებოდა.
თუ 1241 წ. უკვე არსებობდა არტი-
ლერია,

თუ 1308 წ. — ფერდინანდ მეოთხე კას-
ტილიელმა ზარბაზნები დაუშინა გიბრალ-
ტარს (ისპანია),

თუ 1311 წ. — შაგერებმა იმავე იარაღით
აიღეს ქ. ბაზისი (ისპანია), —

რალა საეჭვოა, რომ საქართველოში ეს
იარაღი შემოდებული იქნებოდა, გაცილებით
უფრო ადრე, თითქმის იმავე ხანებში, როცა
გადაიცვალა თამარ-მეფე.

მარა, შეიძლება, მითხრან: „რუსთველი
წარსულზე წერდა და შეუძლებელია თოფზე
რამე დაეწერა“.

ეს აზრი მართალი არ არი. წარსულს,
შეიძლება, მიეკუთვნოდეს მხოლოდ სქემატი-
ური შინაარსი პოემისა და არა ამ შინაარსის
ხელოვნური განსახიერება. აზრი და გძნობა,
ყოფა-ცხოვრება და, საზოგადოთ, დახატული
კულტურა, უსათუოდ, რუსთველის თა-
ნამედროვე ჟამისაა. გარდა ამისა, ბე-

ვრია პოემაში ისეთი ადგილებიც, რომლებიც, თითქო დროების გარეშე და ერთნაირათ ეხებიან, როგორც წარსულს, ისე მომავალს.

ვინ არიან ქაჯები?

„კაცნი, გძნებისა მცოდნენი ზედან გახელოვნებულნი“. გძნება იღუმალი ძალაა ბუნებისა. მაზე არ ითქმის, რომ იგი ვითომდა ოდესღაც ყოფილა, არა—იგი არი ყოველთვის, მხოლოდ კაცის გონების მიწვდენის გარეა. აქ ოცნებისთვის სრულებით ღიაა კარი, როგორც წარსულის, ისე მომავლისა; აქ პოეტის ფანტაზია აბსოლიუტურათ თავისუფალია, იგი არარაი შეზღუდული არავითარი ქრონოლოგიურ მოსაზრებით. რუსთველმაც მიცა სრული თავისუფლება თავის ფანტაზიას. აი, როგორ გვიხატავს იგი ქაჯების საომარ ხელოვნებას:

„იქმენ რასმე საკვირველსა,
მტერსა თვალსა დაუბრძობენ,
ქართა აღძვრენ საშინელთა,
ნავსა ზღვა-ზღვა დაამხობენ,
ვითა ხმელსა გაირბენენ,
წყ.ლსა წმინდათ დააშრობენ,
სწადდეს, დღესა ბნელთა იქმენ,
სწადდეს, ბნელსა ანათობენ“...

ეს სრული სამხედრო ფანტასტიკაა,

მარა თოფზე-კი ხსენება არ არის.

ეს კიდევ ცოტაა.

ნესტან-დარეჯანი ქაჯებსა ყავთ. იგი საშინელ და მიუდგომელ ციხეშია, გარს ახვევია მცველათ ათი ათასი მეომარი, აღჭურვილი ამ საშინელი ცოდნით და ხელოვნებით... სად არი საშველა?!—აქ ტრაგიკული ემოცია მიდის უმაღლეს წერტილამდ... ამ ტრაგიკულ სიტუაციას უფრო უნდა აეფეთქებია პოეტის ფანტაზია და მისი გმირებისთვის ჩაებარებიებინა ისეთი იარაღი, რომელიც ქაჯებსაც-კი არა ქონდათ. აქაც ღიაა კარი მომავალისკენ, ან უკეთ ბუნების საიდუმლოებისკენ, რომელიც, როგორც ვთქვა, დროების გარეშეა. მერე, რა იარაღი ჩააპარა რუსთველმა თავის გმირებს?

თქვენ გახსოვთ ის კილობანი, რომელიც დევებს დარჩათ და რომელსაც:

„ზედა ეწერა: „აქა ძევს
აბჯარი საკვირველიო,
ჯაქვ-მუხარადი, აბჯარი,
ხმალი, ბასრისა მჭრელიო;
თუ ქაჯნი დევთა შეებენ,
იყოს დღე იგი ძნელიო;
უმის-ჟამისოდ ვინც გახსნის,
არი მეფეთა მკვლელიო“.

აქ თოფზე ხსენებაც არ არი, თუშცა პოეტი თვით ამბობს:

„მუნ აბჯარი ყოვლი ფერი
ასრე იღვა, ვითა მწნილი“.

თუ ყოვლი ფერი, საშინელი თოფი ერთი რამ ფანტასტიური დამბაჩა მაინც უნდა ყოფილიყო. პოეტი მეორეჯელ კიდევ ჩამოთვლის ნაპოვნ იარაღებს—„ჯაქვნი, ხმალი, მუხარადი, საბაკრული მათი მგვანი“, — მარა თოფზე-კი ჩუმათ არის.

ვიმეორებ: რუსთველს წარმოდგენა არა აქვს ცეცხლის მფრქვეველ იარაღის შესახებ.

აქრდან დასკვნა მხოლოდ ერთია: რუსთველი ცხოვრობდა და წერდა იმ ხანებში, როცა თოფზე წარმოდგენაც არსათ იყო, ე. ი., თამარის დროს, და შეიძლება—თამარის გარდაცვალებამდიც.

ეს ობიექტიური მოსაზრება უეჭვო ისტორიულ ფაქტებზე დამყარებული, სრულებით და უმეტესკლებოთ ეთანხმება თვით რუსთველის მოწმობას.

რას იტყვის ამაზე ბ.ნი შარი? შოთა შამაღიანი იყო და ცხოვრობდა მეთოთხმეტე საუკუნეში, —არა?!

გორგი გვაზავა.

მაგიდასთან ნაწიხალი.

(უძღვნი . ლ-- მეს)

ვიტყვი ისე, როგორც მტირალი ლაპარაკობს, თქვა დანტემ. შეც სწორეთ, როცა ამ საკითხს ვეხები, მტირალი ვლაპარაკობ. მტირალი ვარ მიტო, რომ დღეინდელი საქართველო მხოლოდ ტერიტორიაა საქართველო, თორე ამდენი ხანი პატარა ეროვნების ამალორძინებელი ფუნქციები და ტეზისები შეგნებული უნდა ქონდეს ყველა თანამედროე დაზარებულ ერის შვილს. ჩვენ, რომ საქართველოს ისტორიას თვალი გადავავლოთ, ცალ-მხრივიათა-კი, არაფერ მასში დიდ-მნიშვნელოვანს, ამალორძინებელს ერისთვის ვერ დავინახავთ. მართალია, მე მწამს ჩვენი მხატვრული ლიტერატურა, რომელსაც მოქალაქის აზრში დიდი ადგილი უჭირავს. მარა ის-კი არა, რომ ძველებურ საეკლესიო ნივთების სარკოფაგების, ან წმიდანების და მონასტრების ძებნაში დაკარგო ყოველივე შენი ახალ-გაზღვრული ენერჯია; დაემონო მხოლოდ და მარტონახატების და ძველებურ ქვების ძებნას დღესდღეობით, თუ ბევრი ჩვენგანი დაუკვირდება, არ არი მოქალაქის და სამშობლოს შვილის ვალდებულობა. მარა სპეციალისტისთვის კი მხოლოდობითი ვალდებულობაა. ნაციონალური ინტერესის. რათქმა უნდა, დაცვა ძველათ და თითქმის ახლაც, უმეტესათ, საქართველოს შვილებს, ხმალში, ქეიფში, დროს ვატარებთ, ჯირითობაში და ლამაზ ქალის ტრფობაში მიაჩნდათ. დაცვა ნაციონალურ ინტერესის მარტო ხმალში და ცალკერ სიტყვების რახარუხში ეგონათ და გონიათ ბევრ ხამშობლოს შვილთ. აი, მოკლე მიმოხილვა ძველი საქართველოს სოციალური ცხოვრებისა.

დღეს-დღეობით, თუ, რომ რომელიმე პატარა რის კულტურული წარმატება და ბედნიერება სურს იმავე ერის შვილს, უნდა უთუოდ, გადახედოს თანამედროე ეპოქას, უნდა გაეცნოს დღეინდელ ევროპულ სახელმწიფოებს, რომ შეიგნოს და დაიმყნას თავის უბედურ და ჩამორჩენილ ერზე ის კულტურა, რომლის შემძენი და მძღველი გახდა დღეს ევროპის კაცობრიობა.

რა ერია ის ერი, რომელსაც დღეინდელი ევროპული ცივილიზაცია არ აქვს? ბოკლის აზრით, ცივილიზაციური ერი ყოველთვის პროგრესიულია და მართალიცაა. პროგრესი ყოველივე სიმართლის მლაღადებელია, ხოლო სიმართლე-კი თავის-თავად დამცველია იმ ინტერესებისა, რომელსაც ემსახურება. მე 19-საუკუნის მეორე ნახევარმა ერის გათვითცნობიერებისთვის მრავალი მიზეზები და მიზანი შექნა. შეიქნა, ერთი მხრით, კაპიტალი და, მეორე მხრით კი, შრომა. პირველის მატარებელი და მქონებელი ყოველ სახელმწიფოში არი ბურჟუაზული კლასი, ხოლო მეორის-კი მშრომელი ხალხი დემოკრატია.

ამ ორმა უმთავრესმა ძარღვმა კაცობრიობის გათვითარებისა და დემოკრატის მჭიდროდ შეკავშირებისთვის წარმოშვა ღირს-შესანიშნავი პრობლემები: ეკონომიური მდგომარეობა, პოლიტიკური, პუბლიცისტიკური, ტენიკური და სხვა. *) ეს პრობლემები არი ყოველივე დამონებულ ერის გამათავისუფლებელი იარაღი. მარა იარაღი მაშინ უნდა, როცა იმას ხმარობს ეს, თუ ის მოხელე, ან პატრონი. რათ უნდა დურგალს კალამი ან კალმოსანს ხელეჩო! იგივეა საქართველოს მებაიარხტრეთა დღეინდელი მდგომარეობა. მათ არ იცოდენ და დღეს ბევრმა არც იცას. რა არის **ეროვნული შეშეცნება**, რა არის ერის დაცვა, რა მიიყვანს მას დღეინდელ პირობებში დემოკრატულ პრინციპებზე დამყარებულ სახელმწიფოსადმი.

მე აქ იმის ახსნას არ შევეუდგები, თუ როგორ წარმოიშვა დემაკრატული სახელმწიფო. დავაკვირდეთ, თუ ვნებავთ, თანამედროე სახელმწიფოს. თანამედროე საზოგადობრივ მოძღვრებათა შორის სოციალიზმს გასაკუთრებული ადგილი უჭირავს სახელმწიფოს განმარტება-დაფასებაში. სოციალიზმმა აღმოაჩინა კლასობრივი ხასიათი თანამედროე სახელმწიფო-

*) მკითხველს არ ეგონოს, რომ ეს მომენტი მართლა ნაყოფი იყოს მე-19 საუკუნის. ამ დროს პრობლემებმა ძლიერ მოიკიდა ფეხი და გაბატონდა.
ავტ.

ფოსი და დასახა იგი გაბატონებულ კლასების ხელში ღამიანგრავე ორგანოთ. ანარხიზმა სრულიათ უარყო სახელმწიფო. თუ თანამედროვე სახელმწიფო დამხარავია (ამას დიდი განმარტება არ ჰქონდა) და კლასიურ ხასიათისაა, საჭიროა ძირითადი ამოფხვრა, მით უფრო, როცა კლასთა გაუქმების შემდეგ, მის არსებობასაც აზრი დაეკარგებაო. აი, ასეთია აზრი იმ ერთი ჯგუფის საქართველოს შვილთა. ხოლო რაც შეეხება მეორე თეორიის მატარებლებს, ე. ი., სოციალ დემოკრატებს, ასეთ კატეგორიულ უარის ყოფამდი არ მიდიან. მათი აზრით, მომავალშიაც იარსებებს სახელმწიფო, მხოლოდ ამ სახელმწიფოს მისი თანამედროვე ფუნქციები აღარ ექნება. აი, აქ არის არსებითი გასხვავება სოც. დემ. და ანარხიზმის შორის.

სოციალ - დემოკრატების ლიტერატურის, და პუბლიცისტიკის არწივი ენგელსი ასე ახასიათებს სახელმწიფოს. „სახელმწიფო ყოველთვის თელ საზოგადოების ოფიციალურ წარმომადგენლათ თვლიდა თავის თავს. ნამდვილათ სახელმწიფო იმ კლასის ინტერესების დამცველი იყო, რომელიც ამა თუ იმ ხანაში საზოგადოების წარმომადგენელი იყო.“ ძველ დროში არსებობდა სახელმწიფო იმგვარ მოქალაქეთა, რომელთაც მონები ემსახურებოდნენ (რომი). საშვალ საუკუნოებში იყო სახელმწიფო ფეოდალურ თავად აზნაურობისა (საქართველო). ჩვენ დროში-კი ბურჟუაზული სახელმწიფოა ინგლისი. „როდესაც სახელმწიფო საზოგადოების წარმომადგენლათ შეიქნება, მაშინ სახელმწიფოს სრულიათ დაეკარგება მისი თანამედროვე ფუნქციებიო,“ ამბობს იგივე ენგელსი. როგორც ხედავთ, ენგელსი სახელმწიფოს გაუქმების პრობლემას აყენებს. მისი აზრით, სახელმწიფოს შეუძლია იყოს თელ საზოგადოების ინტერესთა დამცველათ. ეს მოხდება მაშინ, როდესაც „პროლეტარიატი მართვა-გამგეობის უფლებას დაიპყრობს და საწარმოო იარაღს სახელმწიფოს კუთვნილებათ გახდის.

ასე, როცა ღამიანგრავე ორგანოს გამოცვლაზე-კი არ არი, როგორც ამბობდა ერთი

ჩვენი პუბლიცისტი თაგანი, არამედ სახელმწიფოებრივ „თეატრის“ გაუქმებაზე. ჩვენ სახელმწიფოს ფორმები-კი არ გვაინტერესებს, არამედ სახელმწიფოს არსებითი თვისება.

ერთი მაშინ იცოცხლებს და პროგრესში იქნება, როცა დემოკრატია მართვა-გამგეობის უფლებას ჩაიგდებს ხელში. ამიტომ უნდა ვეცადოთ დღეს-დღეობით, ენგელსის აზრი შევისისხნობროცოთ, გავარკვიოთ და ფაქტურათ გავაშუქოთ. უნდა ვეცადოთ მუშათა კანონმდებლობის შექნას. ამას უნდა მოვანდომოთ თელი ჩვენი სარეგულიაციო ენერჯია. მუშათა კანონმდებლობა გააღონიერებს პროლეტარიატს, განამტკიცებს რეგულიაციისადმი მისწრაფებას და სოციალისტურ წყობილებისთვის საჭირო პირობებსაც შექნის. სინტეზი-კი ამისი არი **საკანონმდებლო წყარო.**

ხოლო საკანონმდებლო წყაროს, როგორ მოიპოვებს დემოკრატია, თუ ის საერთო სა-მოღვაწეო ბაზარზე არ არი გამოსული? საფრანგეთი დიდი ხანია ამითი გამჭვალულია და კიდევ დემოკრატია აქ დიდი ხანია, რაც საერთო სარბიელზე გამოვიდა (ეგვევა, გერმანეთი, ინგლისი და შეერთებული შტატები). მარა, რაც შეეხება რუსეთსა და სხვა დაჩაგრულ ერებს, დემოკრატია კიდევ საღათას ძილით ძინავთ იქ. გამათავისუფლებელმა მოძრაობამ, მართალია, ბევრი ნაყოფი მოუტანა რუსეთს და უმეტესათ, საქართველოს დემოკრატიას. საქართველოს დემოკრატიას, მოძრაობის შემდეგ, დაეტყო დიდი გამოფხიზლება.

სწორეთ მაშინ შეიგნო რუსეთის დემოკრატიაშიც, როცა, თუ უფლება და ძალა მათ ხელში არ იქნება, ისე სახელმწიფოს ხსნა არ ეღირსებაო. მხარე უფრო პროგრესული იქნება, თუ დემოკრატია ჩაუპოტინებს საერთო სახელმწიფო საქმეში ხელს. სწორეთ 1905 წელმა რუსეთსა და საქართველოში ეს ზემოანიშნული დებულება დაბადა, ეგოიზმი ალტრუიზმათ შეეცვალა. ხალხის შევილებმა დაიწყეს ბძოლა, შექნეს მოგერებითი ომი კაპიტალსა და შრომას შორის და შედეგი ამის იყო: დაფუძნება კონსტიტუციონალურ სახელმწიფო-

სი. ასეთივე მაგალითია გერმანეთი. გერმანეთი, შეიძლება, გავყოთ ორ ნაწილად, ორ ლაგირათ. უმრავლესობა, ან თუ გნებავთ, იყოს უმცირესობა, რომელიც უცთვის თავის გადახდას რევოლიუციისგან და სახელმწიფოებრივ სოციალიზმისგან, ბისმარკით ერთად, რომელიც არც შორიდებას ენდობა, არ თხოულობს არაფერ სხვერპლს და თავის წამოშობას მოვალეობათ თვლის. პრაქტიკული პროგრამა ლასალისაა, შექნა წარმოებრივ კოოპერატიულ საზოგადოებების სახელმწიფო ხარჯზე და პროგრესიულ გადასახადებისგან. ხოლო შულცე-დელიჩის*) პრაქტიკული პროგრამა-კი ასეთია: შექნა კოოპერატიულ დაწესებულებების შეერთებულ მშრომელთა ხარჯით, რომ დემოკრატია არ იყოს დამოკიდებული არც სახელმწიფოსგან და არც კაპიტალისტებისგან.

ლასალის პროგრამა ყველას მოუწოდებს, რათა განც ეს დამყარებულია ძალ-მომრეობაზე. შულცესი-კი არსებით კერძოა, თუმცა დამყარებულია ინდივიდუალურ ღირებულებაზე. ერთი კრფეს ძალით, რკინის სახელმწიფოს დისციპლინის გავლენით, შეორე-კი კულტურული საქმეა, დაბადებული, როგორც ერთეულის შედეგი. შულცესთვის ეკანომიური გაუმჯობესება არი რეჟულტატი თავისუფალ მორალის გადაწყვეტილების, ლასალისთვის-კი ამის პროდუქტი და ძიება დიდსოციალურ რევოლიუციისაშია. მართალია, ლასალი, თუ-კი მას ამის პირობები ებადება ამა, თუ იმ ერში, ხოლო შულცეს დამზადებული დემოკრატიული ერი წამს მხოლოდ. და ასეთი დემოკრატია არ არი შესაძლებელი. შასსა მაშინ არი პროგრესიული, როცა ის მებძოლია. ბძოლა არი შედეგი დემოკრატიის გაძლიერების და სწორეთ გზა ლასალისა სწორია და შესაბამი დღეინდელ პირობებთან.

როგორია დღეს ის პატარა ერი, თუ რომას თვისი მშრომელი ხალხი, დემოკრატია ცოცხალი არა ყავს? რა იქნება დღეს საქართველო, რომას დემოკრატია არ უდგეს სათავეში? ნუ თუ ხმალ-ხანჯლიან-ფეოდალურ თავად-აზნაურობას შეუძლია ერის დაცვა და

ეკანომიურათ აღორძინება? ნუ თუ ფეოდალებს შეუძლიათ შექნა იმ პოლიტიკური შომენტის საქართველოში, რაც უკატტმა იტალიაში შექნა? არა... ეს მისსია დემოკრატიისა. მისსია დემოკრატიის, რომ წამოშვას კავშირები, კოოპერაციები, შრომის ბიუროები, დაარსოს შრომის არტელები, სახალხო ბანკები, თეატრები, სახალხო უნივერსიტეტები, დემოკრატიული პრესა, რომელურც იქნება დამფუძნებელი თელი ქართული აზროვნების და გამტკიცებელი დემოკრატიის სულის. აქიდან იბადება შეგნება ქართულ დემოკრატიის. ფიქრი და შრომა ყოველდღიურ საჭირობოროტო საკითხზე, სადაც ის თელი თვისი არმიით მიდის წინ.

ვამბობ, რომ შეგნება ქართველ დემოკრატიის გამოიწვევს თვით-შეგნებას და თვით-შეგნება-კი საერთო საერო შეგნებას. აი, ეს საერთო შეგნება იქნება დაცვა თავის ერის და მშობელი ხალხისა.

აი, საიდან წამოიშობა ხალხის და სამშობლოს ღრმა სიყვარული. არ არის არც ერთი სახელმწიფო, სადაც შრომის და მშრომელ ხალხს არ ჩაეყაროს საძირკველი და მით არ აყვავებულიყოს ამა თუ იმ ერის კეთილ-დღეობა.

შოძრაობის შემდეგ, ქართველ ხალხს ერთგვარი „ეგზამენი“ ქონდა საერთო ხალხურ და დემოკრატიულ ბძოლის მოედანზე.

ქართველ დემოკრატიის ისტორია 1905 წლიდან იწყება ფაქტიურათ და ევროპელის თვალსაზრისით. ქართველ დემოკრატიამ ამას შემდეგ დაიწყო მედგარი და შეგნებული ბძოლა შინაურ ცხოვრებაში.

ქართველ დემოკრატიის ნაყოფია, ჩვენში კავშირები, კოოპერაციები და სახალხო ბანკი თფილისში (რომელიც ჯერ-ჯერობით პროექტია).

ჩვენში ასეთ ხალხურ დაწესებულებების წარმოშობას ბევრმა მიზეზმა შეუშალა ხელი. მარა გამარჯვება, დაბოლოს მაინც დემოკრატიას დარჩა.

კოოპერატივის დაარსება ერთად ერთი გზა იყო. საიდანც ნათლად ჩანდა ჩვენში დემოკრატიის მოქმედება და მოღვაწობა... ასე, რომ ცოტათ, თუ ბევრათ კოოპერატიულმა შოძრაობამ ფეხი მოიკიდა და ძნელია

*) შულცე-დელიჩი წინასწარმეტყველია კოოპერაციის, იხ. В. Тетоміявичъ „Дшеотолы Кооперации“.

იმის ამოფხვრა. ეს არი მიზეზი ხალხის დაახლოვების ნაციონალურ კულტურასთან და ვაჭრობა-მრეწველობასთან. ეს არის უმთავრესი ნაბიჯი ხალხში, შრომის განაწილებისაც. ამან უშველა დღეს-დღეობით ისეთივე მუსიკალურ და იდეალისტურ მხარეს, როგორც ჩვენ ვართ, იტალიას...

კოოპერაციამ დაბადა ალტრუიზმი, რათგან ერთად ერთი მიზანი კოოპერაციის არი მისწრაფება პირადი ყველას და ყოველის ბედნიერებისადმი. აი, პრინციპი სოციალ-დემოკრატიისა, რომელიც უპირდაპირებს კერძო ბედნიერებას საერთოს. საერთო ბედნიერება იქნება ხალხის ბედნიერება და ხალხის ბედნიერება თავის-თავად საშუალოდ ბედნიერებას დაამყარებს. აი, ესევე ითქმის საქართველოზე სწორეთ. მაშ, ნუდარ ვიფიქრებთ ფარხმალსა და სიტყვების რახა-რუხზე. მივცეთ ჩვენ აზროვნებას ერთგვარი ელფერი. ამოვუდგეთ გვერდში დემოკრატიას და მშრომელ ხალხს და ვნახოთ, მყვირალნი გავაუმჯობესებთ და დავიცავთ სამშობლოს და საქართველოს ინტერესებს, თუ წარბ-შეკრული. ენერგიული და მშრომელი დემოკრატი?

მხოლოდ მაშინ გვეტყვიან ჩვენი მოძმენი: „საქმემან შენმა გამოგაჩინაო.“

ს. ნინაშვილი

ნიკო გოცირიძე.

მდგომარე წლის, 4 თებერვალს, ქართ. დრამატ. საზოგადოებამ ნაქიერი ქართველი-მსახიობის, ნიკო გოცირიძის სასცენო მოღვაწეობის ოცი წლის შესრულების დღე იდღესასწაულა.

ნიკო გოცირიძე ემსახურებოდა და დღესაც გულწრფელათ ემსახურება მშობელ სახალხო სცენას და ამ წმიდა ტრაპეზზე მას შეაქვს თავისი გასაკუთრებული ნიჭის თავისებურობაც.

ეს კეთილშობილი მსახიობი, უმეტესათ,

სცენას ემსახურება სრულათ უანგაროთ და უფასოთ და, ამიტომაც, მგონია, დაიმსახურათვეთ ჩვენი მშრომელი ხალხისგან გულწრფელივე მადლობა და პატივისცემა.

ნიკო გოცირიძე დაიბადა, თუ არა ვცოთები, სოფ. იყალთოში, თელავის მაზრაში, სადაც იმისი მამა-პაპა რაქიდან უნდა იყვეს გადასახლებული, 1873 წელს, 6 მარტიმომბისთვეს. იგი სწავლობდა თფილისის სახელოსნო სასწავლებელში, მარა აქ კურსი მას არ დაუსრულებია.

ნიკო მსახურობს ამიერ კავკასის რეინის ჯზაში და აქიდან ემსახურება სახალხო სცენას.

ნიკომ სულ პირველათ პატარა როლები შესრულება დაიწყო 1890 წ. იგი სახალხო თეატრის (ავჯალის) აუდიტორიაში მიიწვიეს. 1897 წ. მიიწვიეს სახალხო სახლში და მას შემდეგ, აი, აქ, ამ ასპარეზზე გულდადებული მოღვაწეობით ნიკო გოცირიძემ დაიმსახურა ნიქიერი არტისტის სახელი. მისი როლებია: აკოფა, საქო, მახუთიანი, აკიმ, კოჭუს, შმაგა და სხვა.

დი ბ წ ე რ ი ლ ი

ჩვენს ერთმორწმუნე კავკასიელ თურქებს.

ჩვენო ერთმორწმუნენო!

ამ უკანასკნელ დღეებში ვკითხულობთ თურქულ პრესაში თქვენ გულისწყრომას ჩვენ ძმებ ქართველ ქრისტიანებისადმი. როგორც თქვენი ნაწერებიდან ჩანს, თქვენი გულისწყრომა გამოიხატება იმაში, რო ჩვენმა ძმებმა კეთილ ინებეს და გაგვიხსნეს ორიოდ ეროვნული სკოლა, რომელსაც დიდი ხანია შევნატროდით, და სადაც შეგვიძლია ჩვენ, ქართველ მამადიანებს, ვისუნთქოთ საკუთარი ჰაერით.

ამაში რალაცას წარმოუდგენელს ხედავთ... თქვენი სიტყვით, ქართველმა მამადიანებმა რომ ეროვნული ჰაერი ვისუნთქოთ, ეს იქნება ჩვენი დაღუპვის მომასწავებელი.. თქვენა ბძანებთ... „თუ თურქული სკოლა არ გავხსენით, ვინ არი თავდები, რომ აჭარა არ გაქრისტეანდებო“. ვერ წარმოგიდგენია, თქვენს ასეთს შეკითხვას, რა პასუხი გავცეთ!.. აბა, თქვენ ვეიპასუხებთ ერთმორწმუნენო: თუ თურქული სკოლები გავხსენით, ვინ არი თავდები, რომ აჭარა არ გათურქდებო?... დღეს ხომ ეროვნება მეორე ღმერთია და მას ხო დიდი ადგილი აკუთვნა კაცობრიობამ? ეს ხომ აშკარათ დავგიმტკიცა დღეინდღეი უმაგალითო ომმა!

ვერ გავგიგია, ქართველ მამადიანობას, თუ თქვენ, ჩვენს საკუთარ ჰაერის სუნთქვას წინ გადაეღობებოდით!.. შეიძლება, ვცთებოდეთ და თქვენს წუხილს შეადგენს, სარწმუნოების საკითხი და არა ჩვენი, ქართველ მამადიანების ეროვნულ ფერხულში ჩაბმა? თუ ეს მართლაც ასეა და გაწუხებთ ჩვენი სარწმუნოებრივი საჭიროება, ძლიერ კარგად პატიოსანი. მივყოთ ხელი მის მოწესრიგებას. ჩვენ დარწმუნებული ვართ, ამ საკითხს, პირდაპირ ადტაცებით მიეგებებიან ჩვენი დვიძლი ძმები—ქართველი ქრისტეანები, რომლებიც ჩვენი სარწმუნოების არსებობას არა ნაკლებ იცავენ, ვიდრე თავისას. ამაში ქართველი მამადიანები სულითა და გულით ვართ დარწმუნებულნი და ამ რწმენას ჩვენი გულიდან ვერავითარი ძალა ვერ აღმოფხვრის.

არა ერთხელ და ორხელ თავდადებით და თავგანწირვით დაუცავს ქართველობას და ქართულ პრესას ჩვენი სარწმუნოება. ეს, ალბათ, თქვენც გემახსოვრებათ, ჩვენო ერთმორწმუნენო, რათგანც თქვენს პრესაში არა ერთხელ ყოფილა ანიშნული ჩვენი ძმების, ქართველ ქრისტეანების მოქმედება. მარა ხელა, რა მოგივიდათ, აღარ ვიცით, რა ბძანებთ: „თუ

თურქული სკოლა არ გავხსენით, ვინ არი თავდები, რომ აჭარა არ გაქრისტეანდებო“. ბატონო ერთმორწმუნენო! მოგახსენებთ, რომ ეს ისეთი გულსაკლავი სიტყვაა, რა შეგნებულნი ქართველი მამადიანი მას ვერ დაივიწყებს...

ნუ შიშობთ, ჩვენ არ გავქრისტეანდებით. აგერ, ორმოც წელზე მეტია, რაც ჩვენში საშისიონერო პუნქტი არსებობს. აბა, ბძანეთ: ვინ გაქრისტეანდა?! თუ მისიონერებმა და რუსულმა სკოლებმა ვერ გავგაქრისტეანა, ნუ თუ ეროვნული სკოლები, რომლებიც კეთილინებეს და გავიხსენეს ჩვენმა ძმებმა, ჩვენ გავგაქრისტეანებენ?! მერე, რატომ? იმიტომ, რომ ეროვნულია? საკარველია, ღმერთმანი, ასეთი შეხედულება! ვინც ეროვნულ სკოლაში აღიზდება, ის, უსათუოდ, გაქრისტეანდება?! მაშინ გვიბძანეთ, თქვენ როგორ-ღა დარჩით მუსულმანებათ და არ გაქრისტეანდით, თქვენ ხო გაქვთ თქვენი ეროვნული სკოლები? ოცხას მილიონამდი მუსულმანია, ათასი სხვა და სხვა ეროვნებისა. ხო ყველანი თავიანთ საკუთარ ეროვნულ სკოლებით იკვებებიან და რატომ არ გაქრისტეანდენ?

მარა არა, ბატონებო! ამაოა ეს საკითხები. ჩვენ, ქართველი მამადიანები უცოდვილესი ხალხი ვართ. ყველას ფეხქვეშ სათელი და სათრევი შევიქენით. სამასი წელია, რაც მოვწყდით ჩვენს ეროვნულ სიტკბობებს და ღობე-ყორეს ვედებით. დღეს, როგორც იქნა, ჩვენ გულში იფეთქა დღემდი მიძინებულმა ეროვნულ გძნობის პატარა ნაპერწკალმა და ესწრაფვის მგზნებარე ცეცხლათ გადაქცევას და ამიტო, გთხოვთ, ნუ გვიშლით ხელს. ჩვენც გვინდა გავერიოთ ხალხში, ჩვენც გვინდა და გვწყურია, როგორც თელ კაცობრიობას, ეროვნული სული და ვინც გადაეღობება ამ ჩვენს, ქართველ მამადიანთა წმიდათა-წმიდა გძნობას, ჩვენი მეგობარი არ იქნება!.. რაც

შეეხება სარწმუნოებას, უკანასკნელათ მოგახსენებთ, რო ჩვენი სარწმუნოება ტანთ საცმელათ არ მიგვაჩნია, რო, როდესაც გვინდა, გავიხადოთ და როდესაც გვინდა, ჩავიცვათ.

ნუ უიშობთ, ჩვენო ერთმორწმუნენო, თუ-კი დღემდი მოვიტანეთ, აწ არავინ-ღა წაგვართმევს, მით უმეტეს, რო სარწმუნოების გამოტაცვის დრო უკვე წავიდა და ახლა მისთვის არავის ცალთა.

მაიღარ-ბეგ აბაშიძე.

ქ. ბათუმი, 25 იანვ. 1917 წ.

ბატონო რედაქტორო!

ყოურიმ, ოთხი კაცისგან შემდგარმა, ჩემ მიერ გამოცხადებული სალიტერატურო კონკურსისთვის გამოგზავნილი მასალები (სულ ექვსი ნაწარმოები იყო), განიხილა. ყველა ნაწარმოებში აღმოჩნდა ცუდი და კარგი მხარეები. მარა პრემიის ღირსათ არცერთი ნაწარმოები არ უცვნიათ. ვათავისუფლებული საპრემიო ფულის დანიშნულებას გამოვაცხადებ ამ მოკლე ხანში.

გთხოვთ, თქვენ პატივცემულ ჟურნალის უახლოეს ნუმერში მოათავსოთ ეს ცნობა. ჟურნალის წევრები იყო: ნ. ლორთქიფანიძე, ი. ნიკოლაიშვილი, ა. წერეთელი და ტ. სიხარულიძე.

თქვენი პატივისმცემელი ვასო ჭითავა.

რედაქტორ-გამომცემელი რომანოზ ფანცხავა.

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი

„განათლება“

(წელიწადი მეთთე)

ჟურნალის მიზანია ხელი შეუწყოს ქართულს ოჯახებსა და სკოლებში წიგნ-ალბანის საქმეს, ეროვნულ ნიადაგზე. „განათლება“ აწვდის მკითხველებს როგორც სწავლა-ალბანის შესახებ, აგრეთვე მეცნიერების ყოველგვარ დარგიდან კაზმულ მწერლობიდან. ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივით ყოველ თვე, გარდა ხელის ორის თვისა (ივლისი და აგვისტო).

ჟურნალში ჩვეულებრივით იქნება ცალკე განყოფილება, სადაც დაიბეჭდება ყოველგვარი ცნობები ქ. შ. წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ.

ხელის მოწერა მიიღება თფილისში ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის“ რედაქციაში, წერაკითხვის საზოგად. წიგნის მაღაზიაში ვ. ავალიშვილთან, „Новая рѣчь“-ის წიგნის მაღაზიაში, კიკნაძესთან და „განათლების“ კანტორაში, ოლლას ქ. № 6. წლიურათ ჟურნალი გაგზავნილ ღირს 5 მან., თფილისში ხელისმომწერთათვის 4 მან., სოფლის სკოლის მასწავლებლებს, სახალხო სამკითხველოებს, საშვალო სკოლის მოწაფეებს, სტუდენტებს, მუშებს ჟურნალი დაეთმობათ 3 მან. 50 კაპ. ცალკე ნუმერი ჟურნალისა ეღირება 50 კაპ. მისამართი: Тифлисъ, Дворянская Грузинская Гимназия, Л. П. Бонвалдзе. რედაქტორ-გამომცემელი დ. ვ. ბოცვაძე.

„სახალხო ფურცელი“

ნახატებიანი დამატებით ღირს წელიწადში 15 მან. ნახევარი წლით 8 მან. სამი თვით 5 მან. წლიური ფასის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილათ: ხელის მოწერის დროს 7 მან. 1 აპრილისთვის 4 მ. და 1 აგვისტოსთვის 4 მან. კანტორა ხელის მოწერისთვის ღიაა დღის 9 საათიდან ნაშვადღევს 3 საათამდი, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდი. რედაქციის მისამართი: თფილისი, „სახალხო ფურცელის“ რედაქცია, სახალხის ქუჩა, № 6. Тифлисъ, редакция „Сахалхо Фурцели“. Поч. ян 190.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისგან. სტამბა „ქობა“, ბუშკინის ქ., გოკიელოვის სახ.

III წ. მიიღება ხელის მოწერა 1917 წელს III წ.

სახლიტერატურა, საპოლიტიკო და სამეცნიერო ჟურნალ

„ცხოვრება“-ზე“

რომელიც გამოვა ორ კვირაში ერთხელ, რომანოზ სპ. ფანცხავას რედაქტორობით. ჟურნალში ითანამშრომლებენ საუკეთესო სალიტერატურო ძალები (წელიწადი მესამე) წლიურათ ჟურნალი ელირება 6 მ. ნახევარი წლით 3 მ., სამი თვით 1 მ. და 75 კ. თვიურათ 65 კ. წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეუძლიათ. ხელის მოწერის დროს 3 მ., პირველ აპრილს 2 მ. და პირველ ივნისს 1 მ. ქუთაისში ხელის მოწერა და ნუმრებას ყიდვა შეიძლება მხოლოდ რედაქციის კანტორაში (სტამბა „მშობა“), ისიღორე კვიცარიძესთან. თფილისში, კავკასიის საფერშლო სკოლის მოწაფესთან, ტერენტი გ—ძე სვანიძესთან და შალვა იასონის ძე მეგრელიშვილთან. შიხაილოვში—იოსებ ყაჭვიშვილთან, ქიათურაში—პლატონ პ—ძე კილასონიასთან, სამტრედიაში მინა კობალეიშვილთან, ფოთში ნესტორ დოლიძესთან, ბათუმში — „განთიადის“ კანტორაში, ლანჩხუთში — ლუკა გ—ძე ურუშაძესთან, და ბაქოში—სანდრო ქუტიძესთან, ქალაქის თვითმართველობაში.

ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Кутаисъ. Роману Спиридоновичу Панцхава.

დაიწყო ხელის მოწერა ყოველდღიურ, საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

„სამშობლო“-ზე“ 1917 წლისთვის.

(წელიწადი მესამე)

წინ გზის ფასი: ერთი წლით 15 მან., ნახ. წლით 8 მ. ერთი თვით 1 მ. 50 კ. ცალკე ნუმერი და თქვენი ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ თვის პირველიდან. წლიურ ხელის მომწერსაკითხი და არ ფასი შეუძლიათ შემოიტანონ ნაწილ-ნაწილათაც: პირველათ 5 მან. ხელის ეროვნულ ფერხე ლის 8 საათიდან სამ საათამდე და ნაშუადღევს 5 საათიდან 8 საათამდე. სეა და გაწუხებე შეიძლება დილის 8 საათიდან 11 საათამდე. რედაქტორი — ი. თ. ცინცაძე. გზება, მოწინაგობა „სამშობლო“ მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ. სახლი მიქელაძისა. დებეშებისთვის: ქუთაისი, „სამშობლო“.

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისთვის

ყოველ დღიურ საპოლიტიკო საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთ,

„საქართველო“-ზე“

ყოველკვირულ ნახატებიან დამატებით.

გაზეთი არის ეროვნულ დემოკრატიულ მიმართულების. განსაკუთრებულ ყურათღების აქცევს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებას: ვაჭრობა-მრეწველობის, სასოფლო მრეწველობის, სასოფლო მეურნეობის წარმატებას, საპროფესიო და სატექნიკო ცოდნათა გავრცელებას. გაზეთს საკუთარი კორესპონდენტები ყავს საქართველოს მნიშვნელოვან დაბა-ქალაქებსა და სოფლებში და აგრეთვე პეტროგრადსა და მოსკოვში.

გაზეთის ფასი: თელი წლით—15 მ. ნახევარი წლით 9 მ. სამი თვით 5 მ. ერთი თვით ქალაქში 1 მ, 80 კ. ქალაქ გარეთიდან გაზეთის გაწერა ერთი თვით, ფოსტის საშუალებით, არ მიიღება. არა წლიურ ხელის მომწერათათვის გაზეთი თვის პირველ რიცხვიდან იქნება ნაწილ-ნაწილად. წლიური ხელის მომწერათათვის ფასის შემოიტანა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება, შემდეგი წესით: ხელის მოწერის დროს 7 მან., პირველ მარტისთვის 5 მან. და პირველ ივნისისთვის 3 მან. ვისაც სურს გაზეთის გაწერა წლიურათ, ეს უნდა მოიხსენიოს პირველ-სავე მოწერის დროს. რედაქციის მისამართი: თფილისი, მოსკოვის ქ. № 4. კანტორა ღია: დილით 9—3 ს.—საღამ. 5—7-მდე. რედაქტორი: სანდრო შანშიაშვილი. გამოცე. ამბ. „საქართველო“.